619
1969

# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1969

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# ქართული ზვრების ბარაქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მევენახეებმა ვალდებულება აიღეს წელს 300.000 ტონა ყურძენი მიჰყიდონ სახელმწიფოს. ეს სარეკორდო ციფრია! ამდენი ყურძენი ჯერ არასოდეს არ დაუმზადებიათ ჩვენი რესპუბლიკის მევენახეებს.

საქართველოს თვალუწვდენელ ზვრებში ჩვენი სახელოვანი მევენახეები თავდადებით იბრძოდნენ ხუთწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლის მისაღებად: მათ შემჭიდროებულ ვადებში, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დაამუშავეს რიგთაშორისები, გასხლეს და შეყელეს ვაზი. დროულად შესრულდა ვენახების გაფურჩვნა, შეწამვლა და სხვა სამუშაოები.

გალაღდა ვაზი. მტკავლისოდენა მტევნები დამსხვილდა: შემოდგომის მზემ ფიჭა-თაფლივით ჩაატკბო მარცვალი. მიმღებ პუნქტებზე პირთამდე სავსე გოდრებით ყოველი მხრიდან უწყვეტ ნაკადად წამოვიდა რქაწითელი და საფერავი, ციცქა და ჩინური.

მევენახეების გამრჯე ხელით მოწეულ ყურძენს წელს სამტრესტის 100-მდე პირველად დამუშავების ღვინის ქარხანა იბარებს. საქართველომ ხუთწლედის მეოთხე წელს 22 მილიონი დეკალიტრი ღვინო უნდა აწარმოოს. წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება აგრეთვე საქვეყნოდ სახელგანთქმული სამარკო ღვინოების ჩამოსხმა.

ქართველი მევენახეების მიერ საგულდაგულოდ გადარჩეული მაღალხარისხიანი ყურძნიდან შარშან ჩვენს რესპუბლიკაში სამარკო ღვინოებისათვის 2 მილიონი დეკალიტრი ღვინო-მასალა შეირჩა; წელს, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილესათვის მზადების დღეებში, ჩვენმა მევენახეებმა ვალდებულება აიღეს, ყურძნის წარმოების გადიდებასთან ერთად, მნიშვნელოვნად აემაღლებინათ მისი ხარისხიც. ღვინის მრეწველობის მუშაკებს ჩვენი მევენახეები წელს გაცილებით მეტ გადარჩეულ საუკეთესო ხარისხის ყურძენს ჩააბარებენ, რაც საშუალებას მოგვცემს გასულ წელთან შედარებით გადავამუშაოთ სულ ცოტა, ნახევარი მილიონი დეკალიტრით მეტი სამარკო ღვინო-მასალა.

კიდევ ცოტა ხანი და ქვევრებსა და უზარმაზარ ბუცებში დადუღდება მაჭარი, დაიწმინდება, დავაჟკაცდება ქართული ღვინო, — ეს საამო სასმელი, სურნელოვანი „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ტიბაანი“, „ქინძმარაული“, „ნაფარეული“. „მწვანე“ თუ „ხვანჭკარა“. ეს ღვინოები ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს გარდა, უცხოეთის მრავალ ქვეყნებშიც გაიგზავნება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (395) ოქტომბერი, 1969 წ.

გამოცემის წელი 47-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ლენინის სახელით



ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტური მოთხრობა

ეს კაცი მტკვრის ხეობაში, სოფელ რველში ცხოვრობდა.

არ შეიძლება თვალი არ მოგტაცოს ამ სოფელმა, ერთიანად მწვანეშია იგი ჩაფლული, ზემოდან მთის მწვერვალები გადმოსცქერიან. აქ ყველაფერი სიცოცხლით და სიჭაბუკით სუნთქავს; თითქოს ამიტომ ეს მოხუციც არ ეპუებოდა სიბერეს, მუხლმა ულალატა, მაგრამ გული ძველებური ხალისით ჰქონდა სავსე. მთელ სოფელში ყველას უხაროდა მისი დანახვა, ჭაბუკებსა და მოზარდებს კი მასთან ყოფნას არაფერი ერჩიათ.

აგერ კვირა დღეს, დილით ორღობეში გამოჩნდა მოხუცი. დინჯად მიემართება მტკვრის სანაპიროსაკენ. ამ შემაღლებული ადგილიდან უყვარს ბორჯომის ხეობაზე თვალის შევლება. აი, ახლაც ხელები მოიჩრდილა და მიდამოებს გახედა.

უცებ ახალგაზრდები გამოჩნდნენ. შემოეხვივნენ. მოხუცმა ალერსიანად გადაავლო მათ თვალი და ჰკითხა:

— საით, ბიჭებო, ამ დილაადრიანად?

— დღეს, ალექსი ბაბუა, კვირაა, სკოლაში არ ვართ წასასვლელი, შინ რა გაგვაჩერებდა!

— კარგია რომ აქეთ წამოსულხართ. აქაურობა ისე ლამაზი და მომხიბლავია, დღეში ათჯერ რომ ვნახო, მაინც არ მომწყინდება. მეც ამიტომ მოვჩანჩალდი აქ ეს ბერიკაცი. ისე, რა გითხრათ იცით? ამ სილამაზეს უფრო მეტი მოვლა უნდა. საიდან არ ჩამოდიან აქაურობის სანახავად, უცხოელები მოხიბლული არიან ჩვენი ბუნებით, ჰოდა, ჩვენ უფრო არ უნდა გვიყვარდეს?

ახალგაზრდებმა მოხუცი ხის მორზე დასვეს, თვითონაც ირგვლივ შემოუსხდნენ, გაისუსნენ. ალექსიმ ერთი წუთით თავი დახარა, თავის ფიქრებს გაჰყვა, როდის-როდის თავი მაღლა ასწია, ცაში რაღაცას მიაპყრო თვალები და მერე ნაღვლიანად ამოთქვა:

— ეჰ, ნეტავი ენახა იმ დიდებულ ადამიანს ეს ჩვენი ლამაზი მხარე!

— ვისზე ლაპარაკობ, ალექსი ბაბუა!

— ლენინზე შვილო, დიდი ლენინი უნდა ჩამოსულიყო ჩვენთან.

ახალგაზრდები ყურადღებად იქცნენ.

— ჰო, ლენინი, — გაიმეორა მოხუცმა, ცხრაას ოცდაორ წელს ავად რომ გახდა, კობამ ურჩია ბორჯომში ჩამოსულიყო სამკურნალოდ. ადგილის შესარჩევად ჯანმრთელობის სახალხო კომისარი სემაშკო ჩამოვიდა. მას სერგო ორჯონიკიძე დაუხვდა. ზოგიერთებს უნდოდათ, აბასთუმანში ემკურნალა და დაესვენა ლენინს. კომისარმა ბორჯომ-ლიკანი შეურჩია, აბასთუმანი მაღალია და გულისათვის ბორჯომი სჯობსო.

— მერე, რატომ არ ჩამოვიდა?

— ეჰ, ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ჩამოსვლა.

— ნეტავ ჩამოსულიყო, აქ მორჩებოდა.

— ექიმებმა არ დართეს ნება, შვილო, სუსტად იყო...

ბევრი რამ ახსოვს ბაბუა ალექსის, მოუყვა ახალგაზრდებს როგორ ჩამოვიდა ბორჯომში სამკურნალოდ გიორგი დიმიტროვი, ფილიპე მახარაძის თანხლებით, როგორ გაიცნო იგი, როგორი კმაყოფილი წავიდა მკურნალობის შემდეგ ბულგარელი რევოლუციონერი.

კარგა ხანი ისაუბრეს. შინ დაბრუნებისას თან წამოჰყვნენ, ეზოს კარი რომ გაუღეს, ალექსიმ მადლობა გადაუხადა ყველას და შეეკითხა:

— ამ საღამოს საით აპირებთ?

— ისევ იქ, სადაც ამ დილით შეგხვდით, ალექსი ბაბუა!

— ჰოო, მაშინ მეც მოვალ.

მართლაც, მზე რომ მიიმალა მწვერვალების იქით, ალექსი ისევ გამოჩნდა, თან თავისი შვილიშვილი მოსდევდა. ისევ იმ ადგილას დასხდნენ ხის მორზე.

და ისევ გარდასულ ამბებზე ჩამოაგდეს სიტყვა — როგორ იბრძოდა ხალხი თავისუფლებისათვის... რამდენი რამ ახსოვს ალექსი ბაბუას, ახსოვს და უყვება ახალგაზრდებს.

...აი, მატარებელი ხაშურს მიუახლოვდა. უცებ საშინელი სროლა ატყდა. ალექსი ვაგონის კარებს ეცა. მას სხვებიც მიჰყვნენ. გულზე ცეცხლი მოეკიდათ, როცა თოფებშემართული კაზაკები დაინახეს, ხაშურის ბაქანი ხალხით იყო სავსე.

— რა ამბავია, ამხანაგებო? — იყვირა ალექსიმ და ძირს ჩამოსასვლელად მოემზადა.

— გაფიცვაა, გაფიცვა!

— რკინიგზელები გაიფიცნენ! — გაისმა ყოველი მხრიდან.

ალექსიმ დაინახა როგორ უმოწყალოდ სცემდნენ პოლიციელები რკინიგზელებს. გულმა აღარ გაუძლო, ელდანაკრავივით ჩამოხტა ძირს, ერთ კაზაკს ყელში სწვდა, მაგრამ ამ დროს მეორემ თოფის კონდახი დაარტყა თავში. დაბარბაცდა ჭაბუკი, უგონოდ დაეცა. იმავ წუთს მიეშველნენ თავისიანები, თვალი გაახილა, აზრი დაუბრუნდა და დაინახა, რომ გაფიცულ მუშებს გლეხებიც შეერთებოდნენ და ქუჩაში მიაბიჯებდნენ. დემონსტრაცია დაწყებულიყო. ზეზე წამოდგა, ტკივილები აწუხებდა, მაგრამ მაინც გაფიცულებისაკენ გაემართა. კაზაკები კვლავ წინ გადაუდგნენ, ისევ ძირს დასცეს. მერე აღარაფერი ახსოვს... ეს იყო საშინელი დღე. მაშინ მოჰკლეს კაზაკებმა ალექსის ოთხი მეგობარი — ვეშაპიძე, ბიწაძე, ბითაძე და კვერნაძე...

— ეს იყო ათას ცხრაას სამ წელს.

მაშინ აეხილა თვალი ალექსის, ღრმად ჩაუფიქრდა მომხდარ ამბავს და დარწმუნდა, რომ თავისუფლებას უბრძოლველად ვერ მოიპოვებ. ამ დღიდან დაუახლოვდა გლეხის ბიჭი ხაშურელ და ბორჯომელ რევოლუციონერებს; ალექსიმ ამხანაგების ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, მას ხშირად საპასუხისმგებლო დავალებებს ანდობდნენ, რომელსაც იგი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა.

— ალექსი, პირადად შენ გევალება, ხვალ რველში, არალეგალურ შეკრებაზე მოიყვანო ბორჯომის რკინიგზის მუშები, აბა, შენ იცი, ბიჭო, როგორ შეასრულებ დავალებას! — მიმართა მას ერთ დღეს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

იმ ღამეს ალექსის აღარ მოუსვენია. ყველა საიმედო კაცის ოჯახში ახალი წლის მეკვლესავით გამოცხადდა.

მას ხშირად პროკლამაციების გავრცელებასაც ანდობდნენ.

— სოფელ რველის მახლობლად, ბანისხევთან ფარულ კრებაზე ორმოცდაათი კაცი უნდა მოიყვანო, თბილისიდან ერთი ამხანაგი უნდა ჩამოვიდეს.

— ვინ არის ის ამხანაგი? — იკითხა ალექსიმ.

— ეგ საიდუმლოა, როცა ჩამოვა, მაშინ გაიგებ, — უპასუხეს ღიმილით.

მეორე დღეს ის ამხანაგიც მოვიდა, ახოვანი, მაღალ-მაღალი, განიერმხარბეჭიანი, შავულვაშებიანი ვაჟკაცი.

— სერგო, ჩვენი სერგო ორჯონიკიძე! — შეეგებნენ ჩამოსულს ამხანაგები.

სერგომ ჯერ ლენინთან შეხვედრაზე ილაპარაკა, მერე კი ბორჯომის ხეობაში არალეგალური მუშაობის უფრო ფართოდ გაშლაზე, ღარიბი გლეხკაცობის დარაზმვაზე. დასასრულ სერგომ განაცხადა:

— ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, სანამ მუშათა კლასი თავის ბედის პატრონი თვითონ არ გახდება. გჯეროდეთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ!

ალექსიმ იმ დღეს პირველად ნახა სერგო ორჯონიკიძე, აღარ შორდებოდა, სულ მასთან უნდოდა ყოფნა.

...ისევ არალეგალური კრება, ტყეში... ახლა კი იცოდა ალექსიმ, რომ ალიოშა ჯაფარიძე უნდა ჩამოსულიყო. თამამად მივიდა მასთან, გაეცნო.

— მე ერთი ღარიბი გლეხკაცი, ალექსი შავიძე გახლავართ!

ორივეს კეთილი ღიმილით დაეფარათ სახე და მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

მერე ჯაფარიძემ სიტყვა რომ დაიწყო, ალექსი სულმოუთქმელად უსმენდა.

— თვითმპყრობელობამ, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ახალი შეტევა დაიწყო ჩვენს წინააღმდეგ, ახლა რეაქცია მძვინვარებს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, სულიერად არ უნდა დაგვცეს: მართალია დავმარცხდით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ, ერთი წუთითაც არ შევანელოთ ბრძოლა, აქეთკენ მოგიწოდებთ, ამხანაგებო, მოგიწოდებთ ლენინის სახელით!

„ლენინის სახელით!“ — გაიმეორა ალექსიმ თავისთვის, ეს სიტყვები მას ძალას მატებდნენ, გულს ნათელი შუქივით ეფინებოდნენ.

ამიერიდან მას, რევოლუციის ერთგულ ჯარისკაცს ეს შუქი და ნათელი მიჰქონდა ყველგან, სადაც კი უნდა მისულიყო — ახალდაბის ხე-ტყის ქარხნის მუშებთან, თუ რველის და ყვიბისის გლეხებთან, ბორჯომის წყლების ჩამომსხმელ ქარხნის მუშებთან, თუ მთებში მწყემსებთან.

რეაქციის დროს უფრო გაძნელდა მუშაობა. ერთ დღეს ორგანიზაციამ შეიტყო, რომ ახალდაბაში არალეგალურად მომუშავე ამხანაგები გაცემული

საქ. კ პ ც კ გამომცემლობა



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

იყვნენ და დღეს თუ არა, ხვალ მაინც დააპატიმრებდნენ მათ. საჭირო იყო მათი გაფრთხილება. ვინ გააკეთებდა ამას ყველაზე სწრაფად? ბევრი არ უფიქრიათ, არჩევანი ალექსიზე შეჩერდა. მანაც მარჯვედ შეასრულა დავალება. ამხანაგები იხსნა: ისინი აქეთ-იქით, ტყეებში მიიმალნენ, თვითონ კი, ორ მუშასთან ერთად, ბორჯომისაკენ წამოვიდა, გზაზე მოულოდნელად პოლიციელები შემოეფეთენ.

— ხელები მაღლა! — შესძახეს მათ, დააპატიმრეს ალექსიც და მისი მხლებლებიც.

პატიმრები ბორჯომში ბოქაულს წარუდგინეს, აქედან ისინი გორის ციხეში გადაგზავნეს:

— ვაჟბატონო, თქვი სად გაიქცნენ შენი ახალდაბელი ამხანაგები? — არ ეშვებოდა დაკითხვისას პოლიციელი. ალექსი ხმას არ იღებდა. ამაზე სულ გაცოფდა პოლიციელი.

— თქვი, რად დადუმებულხარ!

— არ ვიცი და რა უნდა ვთქვა? არ ვიცი, ვის ეძებთ! — ჯიუტად გაიძახოდა ნაცემ-ნაგვემი ჭაბუკი.

ალექსი ასტრახანში გადაასახლეს. იქ მუცლის ტიფი შეეყარა. ორი თვე უპატრონოდ ეგდო. ძლივს გადარჩა სიკვდილს. დასუსტებულსა და არაქათგამოცლილ ალექსის ერთხელ ერთი ახალგაზრდა შეხვდა. უცნობმა შეათვალიერა და ჰკითხა:

— ქართველი ხარ, კაცო? — ალექსი გამოცოცხლდა, თვალები ფართოდ გაახილა. ქართულმა სიტყვამ ყოველგვარი ტანჯვა-წამება დაავიწყა, სიხარულით აღმოხდა გულიდან:

— ქართველი ვარ, ბიჭო! — და როგორც ღვიძლ ძმას ისე გადაეხვია, — შენ რა გვარი ხარ, ჩვენებურო?

— მარღანია ვარ, იოსები, სტუდენტი!

ის სტუდენტი ძმასავით ამოუდგა მხარში, თავის ღარიბულ ლუკმას უზიარებდა, ამხნევებდა, დღე არ გავიდოდა, არ ენახა და საქართველოზე ლაპარაკით გული არ ეჯერებინათ. იოსებმა იგი ერთ დღეს ასტრახანის ნავსადგურის უფროსს, გვარად ჭავჭავაძეს გააცნო. ალექსი შეევედრა მას:

— რვა თვეა აქ, გადასახლებაში ვიტანჯები, დამეხმარეთ ძმებო, რომ სამშობლოში დავბრუნდე.

— როგორ, გაქცევა გინდა? — ჩაფიქრდა მეზღვაური, მერე ალექსის თვალები გაუსწორა და უთხრა:

— კარგი, ამ საქმეს მოგიგვარებ, მაგრამ არავის უთხრა, თორემ მეც დამიჭერენ.

— ასეთ საქმეს მიკეთებთ და ვინმეს ვეტყვი? მენდეთ ყველაფერში, მიხსენით ამ ჯოჯოხეთიდან და თქვენს ამაგს არასოდეს დავივიწყებ!

— კარგი, ხვალ დილით მოხვალ ნავსადგურში, გემი ბაქოში მიდის, იმას გაგაყოლებ საიდუმლოდ, მხოლოდ ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო. ასე რომ დაგინახავენ, დაეჭვდებიან, გადმოსახლებულია და მიიპარებაო, ხომ გახსოვს ქართული ანდაზა — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

— რა ვქნა, კაპიკი არა მაქვს, რით ვიყიდო ტანსაცმელი? — ჩაილაპარაკა ალექსიმ.

ჭავჭავაძე დაფიქრდა, მერე თავი მაღლა ასწია და ალექსის უთხრა:

— ამ საღამოს იოსებთან მიხვალ. იქ კოსტუმს, პერანგს, ჰალსტუხსა და ქუდს მოგიტანენ, ჩაიცვამ, კოხტად გამოეწყობი, ვითომ კანცელარიის მოხელე ხარ, გაიგე?!

ალექსი ისე დაიბნა, მადლობის თქმაც ველარ მოახერხა. ახლა ამას დარდობდა, დაგლეჯილი ხალათის, ძველი შარვლისა და ქალამნის მეტი რომ არაფერი სცმია, ის კოსტუმი როგორ ჩაეცვა, ჰალსტუხი როგორ გამოეკვანძა, ფეტრის ქუდი თავზე როგორ დაეხურა?

რამდენიმე დღის შემდეგ ალექსი ბაქოში იყო. მაშინ მოაგონდა, ალიოშა ჯაფარიძე აქ იმყოფებაო. ეგებ ვერ მიცნოსო და ის კოსტუმი გაიხადა, ჩემოდანში ჩააწყო და ისევ თავისი დაგლეჯილი შარვალ-ხალათი ჩაიცვა. დიდი ვაივაგლახის შემდეგ მიაგნო ჯაფარიძის კვალს, ალიოშამ დანახვისთანავე იცნო ალექსი.

— შენ ბორჯომელი ლექსო არა ხარ, ბიჭო?

—ისა ვარ... სოფელი რველიდან, მიცანით, არა?

— მიცანიო? სხვანაირად როგორ შეიძლება!

ჯაფარიძემ ალექსის მეორე დღეს ფული უშოვა, დაარიგა, გაამხნევა და საქართველოში გამოამგზავრა.

ჩამოვიდა ალექსი სოფელში, თავის ეზოს ჭიშკართან უცხოსავით შედგა. სახლის კარები გამოკეტილი იყო, არავინ ჩანდა. „ნეტავ სად წავიდნენ?“ — გაიფიქრა და ის იყო მეზობლებმაც დაინახეს.

„ალექსი ჩამოსულაო“, — უცებ გავარდა ხმა სოფელში.

თავისი ოჯახის ამბავი რომ იკითხა, უთხრეს: შენი გადასახლების შემდეგ მაინც არ ასვენებდნენ შენიანებს, მოდიოდნენ, ჩხრეკდნენ, რაღაცას ეძებდნენ, შენმა ცოლმა და შვილებმა ვერ გაუძლეს ამდენ შიშსა და ვაივაგლახს, იმერეთში ნათესავთან გადაიხიზნენ.

ალექსიმ იმ დღესვე იმერეთისაკენ აიღო გეზი.

— მამა, მამა! — აყვირდნენ შვილები მის გამოჩენისას, კისერზე ჩამოეკიდნენ. ის იყო მეუღლეც გამოჩნდა.

ოჯახში კვლავ სიხარულმა დაისადგურა, მაგრამ ვაი რომ ხანმოკლე აღმოჩნდა იგი. ერთი კვირის შემდეგ ალექსისთან ნაცნობი კაცი მოვიდა და შეატყობინა, რომ მას ისევ დაეძებდნენ, კითხულობდნენ, ვინ გაანთავისუფლაო.

ალექსიმ ისევ ბორჯომისკენ გამოსწია, ტყეს შეაფარა თავი. აქ შეხვდა ბორჯომში ცნობილ რევოლუციონერს გიორგი გელაშვილს. გიორგის ძალიან გაეხარდა ალექსის დაბრუნება. ალექსიმ უამბო ყველაფერი, ისიც, თუ როგორ გამოიქცა ასტრახანიდან და ისიც, რომ ისევ დაეძებდნენ პოლიციელები.

— შენ ნურაფრის გეშინია, ისეთ სამსახურს გიშოვნი, ვერავინ გნახოს! — დაამშვიდა გიორგიმ.

— მაინც სად?

— აბასთუმნის მთებში ტყისმცველად, სულ ტყეში იქნები, კაციშვილი ვერ გნახავს!

ალექსი მეორე დღესვე შეუდგა მუშაობას. ერთ წელს ასე იმალებოდა აბასთუმნის მთებში, მერე იფიქრა, ჩემს მტრებს მივავიწყდიო, ოჯახი იმერეთიდან ჩამოიყვანა და თვითონაც შინ დაბრუნდა. მერე ის იყო, ვიღაცამ გასცა. ერთ ღამეს გორის მაზრის პოლიცია დაესხა თავს. დააპატიმრეს, სცემეს.

— აბა, თქვი ძაღლისშვილო, როგორ გამოიპარე გადასახლებიდან! — დაუღრიალა პოლიციელმა.

ნაცემ-ნაგვემმა ალექსიმ ძლივს ამოიდგა ენა:

— მართალია, გადასახლებიდან გამოვიპარე, მაგრამ...

— მაგრამ....

— ჩამოსვლისთანავე მაზრის უფროსთან გამოვცხადდი, ვუთხარი ყველაფერი, მან ნება დამრთო მეცხოვრა ჩემს სოფელში.

— სტყუი, გაიძვერავ!

— თუ ჩემი არ გჯერათ, წამომყევით მაზრის უფროსთან და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ: წამიყვანეთ-მეთქი! თუ არა და, ნება მომეცით სახლში შევიდე და საბუთი გამოგიტანოთ დასარწმუნებლად.

პოლიციის უფროსმა ნება დართო სახლში შესულიყო.

— საბუთს ახლავე გამოგიტანთ! — უთხრა ალექსიმ და სახლში შევარდა.

თავზარდაცემული ცოლ-შვილი, რაღაც უბედურებას რომ მოელოდნენ, ალექსიმ გააფრთხილა, ხმა არ ამოეღოთ და იმ არარსებული საბუთის ნაცვლად გადამალულ რევოლვერს დაავლო ხელი, მაშინვე უკუნეთ ღამეში გარეთ გამოვარდა, რევოლვერი პოლიციელებს დაუშინა და ეკალ-ბარდებით სავსე ტყეში გადაეშვა.

ყოველივე ეს ისეთი ელვისებური სისწრაფით მოხდა, რომ პოლიციელებმა თოფების გამართვაც ვერ მოასწრეს.

ალექსი აბასთუმნის მთებიდან ზეკარის უღელტეხილზე გადავიდა და კვლავ იმერეთში თავის ნათესავებს შეაფარა თავი. იქაც რომ არ მოუსვენეს, ჯარში წავიდა. მისი პოლკი ჯერ გორში იყო დაბანაკებული, მერე ახალციხეში, აქედან კი ყარსში გადაიყვანეს, ჩასვლისთანავე თურქეთის ფრონტზე გაგზავნეს.

ერთ დღეს სანგარში დაღონებული რომ იყო და თავის ცოლ-შვილზე ფიქრობდა, ყვირილი შემოესმა:

— ბიჭებო, სანგრებიდან ამოდით, სანგრებიდან!

— რა ამბავია, ძმაო! — გასძახა ალექსიმ.

— პეტროგრადში რევოლუციაა, ნიკოლოზი ჩამოაგდეს ტახტიდან.

მალე ალექსი ბორჯომში დაბრუნდა, მონახა თავისი ძველი ამხანაგები, ბოლშევიკები, რომლებიც ციხე-გადასახლებებს გადარჩენოდნენ, აქტიურად ჩაება მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. გვარდიელები ბევრჯერ დაესხნენ თავს, მაგრამ ყოველთვის, როცა ფიქრობდნენ, ახლა მაინც ჩავიგდებთ ხელშიო, იგი ხან ბაკურიანის, ხან აბასთუმნის, ხან ტაძრისის, ხან კი საკოჭაოს ტყეებში ამოყოფდა თავს.

როცა საქართველოს მშრომელებმა ლენინის დროშაააფრიალეს თბილისის თავზე, ალექსიმაც პირველად მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად.

მალე იგი სოფელ რველის პირველი რევკომის თავმჯდომარედ დანიშნეს, პირველი პარტიული უჯრედიც რველში მანვე ჩამოაყალიბა.

რველში დაბადებულმა და გაზრდილმა ვაჟკაცმა პირნათლად მოიხადა ვალი ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ალექსი შავიძე ხუთიოდე წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ თანასოფლელებს არ ავიწყდებათ მისი სახელი, აქ ყველა სიყვარულით და მადლობის გრძნობით იგონებს მას.

ის ახალგაზრდებიც ისე არ დაადგამენ ფეხს რველის მიწას, ალექსი ბაბუას სახლის წინ არ შეჩერდნენ, მისი ნაამბობი არ მოიგონონ.

ბაბუას კეთილი სახელი ცოცხალია ამ ხეობაში...

სიმონ წვერავა



# პირველად საბჭოთა კავშირში



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კერამიკის ლაბორატორიამ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო მუშაობა ახალი კერამიკული ნედლეულის — ვულკანური წარმოშობის მთის ქანების მრეწველობაში გამოყენებაზე; ანდეზიტის გამოყენებით ლაბორატორიამ შეიმუშავა შავი ფერის ჭიქური, რომელიც განსაკუთრებულ სილამაზეს აძლევს როგორც მხატვრული ფაიფურის, ისე სხვა სახის კერამიკულ ნაკეთობებს. ამ ფერით მოჭიქული მხატვრული ნაკეთობები დიდი მოწონებით სარგებლობენ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. სადაც ისინი ოცამდე ქვეყანაში იგზავნება.

როგორც ლაბორატორიის გამგემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ივანე ხიზანიშვილმა გვითხრა, იმავე ანდეზიტის გამოყენებით, შემუშავებულია ახალი სახის შავი ფაიფურის მასა, რომლის წარმოების ტექნოლოგია ბევრად არის გამარტივებული. ასეთი მასისაგან დამზადებული ნაკეთობა ხასიათდება შავი ფერის თანაბარი ხავერდოვანი ზედაპირით, იგი გამჭვირვალე ჭიქურით არის დაფარული, რაც მას მეტად დეკორატიულ ელფერს აძლევს.

პერლიტების გამოყენებით ლაბორატორიამ შეიმუშავა კიდევ ერთი სახის ნახევარფაიფურისა და ფაიფურის მასები, რომლებიც ლაბორატორიის მუშაკების უშუალო ინიციატივით დაინერგა მრეწველობაში. დღეს ამ მასებისაგან დამზადებულ სამშენებლო ნახევარფაიფურისა და ფაიფურის ნაკეთობებს დიდი რაოდენობით უშვებს თბილისის კერამიკული კომბინატი, საშენ მასალათა კომბინატი და სხვა ქარხნები.

ლაბორატორიაში აგრეთვე წარმატებით მიმდინარეობს გამოკვლევები მთის ქანების გამოყენებაზე მინანქრის წარმოებაში. უკვე დღეისათვის თბილისის მინანქრის ქარხანა უშვებს პერლიტშემცველი მინანქრით დაფარულ ნაკეთობებს.

ამ სამუშაოების ჩატარებისათვის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს მიღებული აქვთ მრავალი საავტორო მოწმობა, დიპლომი, სიგელი და ფულადი ჯილდო.

გამოკვლევები ვულკანური მთის ქანების გამოყენებაზე გრძელდება, მიღებული წინასწარი შედეგები უდიდეს პერსპექტივებს უსახავს ამ ძვირფას ნედლეულს, რომელიც აქამდე უცნობი იყო კერამიკის წარმოებაში.



**სურათებზე: ლაბორატორიის გამგე ივანე ხიზანიშვილი (მარცხნივ), ინჟინერი თინათინ კუბლაშვილი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რამაზ მამალაძე ლაბორატორიაში მუშაობის დროს.**

**შავი ფერის ჭიქურით დაფარული მხატვრული ფაიფურის ნაკეთობები.**

**ფოტო შ. ჩხეტიანისა.**



# ვინ იყო გურჯი სერგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები იბრძოდნენ ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ არა მხოლოდ თავის სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში ისინი ძმურ ხელს უწვდიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ დაჩაგრულ ხალხებს. ჩვენი თანამემამულეების უცხოეთში ცხოვრების, მოღვაწეობისა და ბრძოლის შესწავლას ბოლო ხანებში არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა. ბუნებრივია, რომ მკითხველი ინტერესით ეკიდება ყოველი ასეთი ნარკვევის გამოჩენას. ამ მხრივ კვლავ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, მრავალი გმირის სახელი ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული.

როგორც ცნობილია, ირანის 1905-1911 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მრავალი ქართველი ღებულობდა მონაწილეობას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის, ბაქოს და ბათუმის კომიტეტებთან მაშინ შექმნილი იყო სპარსეთის რევოლუციის დამხმარე ჯგუფები, რომლებიც მოხალისეებს გზავნიდნენ ირანის ქალაქებში — თავრიზსა და რეშთში. იმ დროის ბრძოლების თვითმხილველების და, მათ შორის, სპარსელი ისტორიკოსების მოწმობით, ქართველები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ მთავარ დამკვრელ ძალას და მათ მხოლოდ გადამწყვეტ უბნებზე იყენებდნენ.

1909 წლის დამდეგს შაჰის მთავრობის ძალებმა ალყა შემოარტყეს რევოლუციურ თავრიზს, რომელსაც სათარხანი ედგა სათავეში. ამ დროს პარტიის ბაქოს კომიტეტმა გილანის პროვინციის მთავარ ქალაქ რეშთში გაგზავნა ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა ჯგუფი, რომელშიც მრავალი ქართველი შედიოდა. კავკასიელთა ამოცანა იყო სპარსელ მებრძოლებთან ერთად, სათავეში ჩადგომოდნენ სახალხო ბრძოლას, გაეთავისუფლებინათ გილანის პროვინცია, აქედან შეეტიათ ყაზვინისათვის და გზა გადაეჭრათ თავრიზისაკენ მიმავალი შაჰის ჯარებისათვის. ეს ამოცანა წარმატებით იქნა განხორციელებული. 26 იანვარს რეშთი გაანთავისუფლეს, ხოლო 21 აპრილს რევოლუციონერებმა ყაზვინიც აიღეს. კონტრრევოლუციის ძალები უკან იხევდნენ. სწორედ ამ დროს შაჰის რეჟიმს გამოესარჩლა რუსეთის თვითმპყრობელობა. ნიკოლოზ მეორის ბრძანებით, რუსეთის არმიამ, გენერალ სნარსკის მეთაურობით, ჯულფასთან გადალახა საზღვარი და ორი დღის შემდეგ თავრიზში შევიდა. რევოლუციური თავრიზი დაეცა.

მაგრამ ამან მაინც ვერ იხსნა შაჰის მონარქია. აპრილის ბოლოს გილანელმა რევოლუციონერებმა ჩრდილოეთიდან, ხოლო ბახთიართა რაზმებმა სამხრეთიდან ლაშქრობა მოაწყვეს დედაქალაქ თეირანზე, რომელიც შტურმით აიღეს 1909 წლის ივლისის დამდეგს. შაჰი მოჰამედ ალი ტახტიდან ჩამოაგდეს. ხელისუფლებას ლიბერალების კოალიციური მთავრობა დაეპატრონა.

აღსანიშნავია, რომ ამ ამბებთან დაკავშირებით გაზეთ „ახალი სხივის" 1910 წლის თებერვალ-მარტის ათ ნომერში გამოქვეყნდა საინტერესო წერილების სერია სათაურით „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან" (იხ. ამ გაზეთის ნომრები 1910 წლის 6 მარტიდან — 17 თებერვლამდე). წერილები დაწერილია ამ ამბების უშუალო მონაწილისა და თვითმხილველის მიერ. ნარკვევში თხრობა იწყება 1908 წლის დამლევიდან, როცა ქართველ და სხვა კავკასიელ მოხალისე მებრძოლთა ჯგუფი ჩავიდა რეშთში, და მოიცავს მათ მიერ გადახდილ ყველა მნიშვნელოვან ბრძოლას 1909 წლის პირველი ნახევრის მანძილზე (რეშთის აჯანყება, მენჯილის, ამბოს, ყაზვინის აღება და თეირანზე ლაშქრობა).

ამ ვრცელ და საყურადღებო წერილებს ხელს აწერს გურჯი სერგო. ჩვენს პრესაში უკვე გამოითქვა მოსაზრება, თითქოს ეს წერილები სერგო ორჯონიკიძეს ეკუთვნოდეს. ის ხომ ირანის რევოლუციის მონაწილე იყო, თითქმის ერთი წელი იმყოფებოდა ამ ქვეყანაში, უმეტესად გილანის პროვინციაში, და უაღრესად ნაყოფიერ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, პუბლიცისტურ საქმიანობასაც ეწეოდა.

მაგრამ ფაქტების ანალიზი მოწმობს, რომ სერგო ორჯონიკიძე არ შეიძლება ყოფილიყო ავტორი წერილების სერიისა „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან". საქმე ის არის, რომ სერგო ორჯონიკიძე 1907 წლის 3 ნოემბერს დააპატიმრეს და 1909 წლის თებერვალში ციმბირში, სოფელ მოტიგინოში გადაასახლეს. იქიდან გამოქცეული იგი ბაქოში ჩადის 1909 წლის აგვისტოში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ბაქოს კომიტეტი აქედან მას ირანში ჰგზავნის. ზემოდასახელებულ წერილებში კი, როგორც აღნიშნული იყო, 1908 წლის დამლევისა და 1909 წლის პირველი ნახევრის ამბებია მოთხრობილი.

შეიძლება სერგო ორჯონიკიძემ ეს წერილები სხვის მიერ მონათხრობის მიხედვით დაწერა? მაგრამ არც ეს ვარაუდი გამოდგება, ვინაიდან გაზეთ „ახალი სხივის" რედაქცია 1910 წლის 6 თებერვალს, როცა გურჯი სერგოს წერილების გამოქვეყნება დაიწყო, შემდეგს წერდა:

„ვბეჭდავთ ამ წერილებს უცვლელად. მისი ავტორი — **გურჯი სერგო** — ერთი აქტიური მონაწილეთაგანია სპარსეთის რევოლუციისა. თვით წერილებს, როგორც მკითხველი დაინახავს, მებრძოლის დღიურის ხასიათი აქვს: აღნიშნულია თითქმის ყველა ის ამბები, რაც თვითონ ავტორს უნახავს ან მათში მონაწილეობა მიუღია". ავტორი რომ მის მიერ აღწერილი ამბების უშუალო მონაწილეა, ამას ისიც მოწმობს, რომ იგი ცალკეულ შემთხვევებში ამბებს პირველი პირით მოგვითხრობს. მაგალითად, 1909 წლის 27 ივნისს, როდესაც გილანელი რევოლუციონერები სეფაჰდარის წინამძღოლობით და ბახთიართა რაზმები სარდარ-ასახის სარდლობით თეირანის მისადგომებზე ერთმანეთს მიუახლოვდნენ, საჭირო გახდა მათ შორის პირველი კონტაქტის დამყარება. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „სეფაჰდარმაც გვირჩია ყველანი შევერთებულიყავით და შუაკაცობა გვანდეს მე და სპარსელ მამედ ალის (ყარაბაღელია)" (იხ. „ახალი სხივი", 1910 წლის 17 მარტი).

აღსანიშნავია კიდევ შემდეგი გარემოება: სერგო ორჯონიკიძის წერილები რეშთიდან 1910 წლის იანვრიდან ივლისამდე ქართულ გაზეთებში („მოგზაური", „ახალი დროება", „ახალი სხივი" და სხვ.) იბეჭდებოდა სერგო კლდისძირელის ფსევდონიმით. იქვე აღნიშნული იყო, რომ იგი რედაქციის საკუთარი კორესპონდენტია. გაზეთ „ახალ სხივში" დაბეჭდილ ნარკვევებს კი („სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან") არც ეს ფსევდონიმი აქვს წარწერილი და არც ის არის აღნიშნული, რომ ეს საკუთარი კორესპონდენტის წერილებია.

მაშ ვინ იყო გურჯი სერგო?

ჩვენ ხელთ არსებული ყველა საბუთი მიუთითებს, რომ გურჯი სერგო იყო სერგო გიორგის-ძე გამდლიშვილი. ირანის რევოლუციის მონაწილე აპოლონ ჯაფარიძე, რომელიც ახლაც ცოცხალია და თბილისში ცხოვრობს, თავის მოგონებებში ადასტურებს, რომ წერილები, რომლებზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ეკუთვნის ხაშურელ სერგო გამდლიშვილს. ირანში გამგზავრებამდე იგი ბაქოს კავშირგაბმულობის კანტორის მოხელე იყო. „ირანის რევოლუციის მონაწილეთა შორის, — აღნიშნავს ჯაფარიძე, — ჩვენ გვყავდა ორი გურჯი სერგო: ერთი — სერგო გამდლიშვილი — 1908 წლიდან 1909 წლის შემოდგომამდე მომხდარი რევოლუციური ბრძოლების აქტიური მონაწილე (პატარა სერგო) და, მეორე, სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ირანში 1909 წლის მიწურულში ჩავიდა. რა თქმა უნდა, სერგო ორჯონიკიძე ვერ იქნებოდა ირანში მის ჩასვლამდე მომხდარი იმ ამბების მონაწილე, რომელიც სერგო გამდლიშვილს აქვს მოთხრობილი თავის ნაწერებში" (ა. ჯაფარიძის მოგონებები ინახება ჩვენთან — გ. ჭ.).

სერგო გამდლიშვილი რეშთის აჯანყების სამხედრო შტაბის წევრი იყო. მან დიდი მოხერხება და მამაცობა გამოამჟღავნა როგორც ამ აჯანყების დროს, ისე მენჯილის, ამბოს, ყაზვინისათვის ბრძოლებში.

ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის ცნობილი ამ სასახელო ქართველი ვაჟკაცისა და რევოლუციონერის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა. მკითხველს აქ ვთავაზობთ ცნობებს, რომელიც მისმა ძმამ იასონ გიორგის-ძე გამდლიშვილმა მოგვაწოდა (იასონი ამჟამად ხაშურში ცხოვრობს).

სერგო გამდლიშვილი დაიბადა 1882 წელს, ქარელის რაიონის სოფელ ავლევში; 1899 წელს დაამთავრა გორის სამოქალაქო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის კავშირგაბმულობის სკოლაში. აქედან მას სიღნაღში გზავნიან სამუშაოდ, შემდეგ ჯარში იწვევენ. მსახურობდა ჯერ ოდესაში, შემდეგ ზარაისკში (რიაზანის გუბერნია). 1904 წელს სერგომ მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში. ფრონტიდან იგი მოსკოვში ჩამოდის და სურენ სპანდარიანთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში.

1906 წლის იანვრის ბოლოს სერგო ავლევში ბრუნდება, სამშობლოში იგი კვლავ აქტიური ბრძოლისათვის რაზმავს ხალხს. კაზაკებთან შეტაკების შემდეგ სერგო იძულებულია დატოვოს მშობლიური სოფელი და თბილისს შეაფაროს თავი.

(დასასრული მე-6 გვ.).

ასმათ დავითიშვილი

# კლდის



# ვეშაპი

მამა-შვილი მანქანაში ჩახხდნენ. უკვე დამშვიდებული ბესარიონი უფროსის სიტყვებზე ფიქრობდა. იქნებ მართალია ჩხუმლიანი! აი, ნახავს იმ ჯანდაბა დონლუზ-ორუნს და...

მანქანა ბაქსანის ხეობაში მიჰქროდა. შემდეგ ნაძვნარში შეიჭრა, მკვეთრი მოხახვევი. მხარმარჯვნივ პატარა მინდორი, შემდეგ ისევ ნაძვნარი.

ზევიდან მომავალი ტურისტები შემოხვდათ. თითქმის დედიშობილანი იყვნენ ვაჟებიც და ქალებიც: ბესარიონმა რაღაც წაიბურტყუნა. ჩხუმლიანმა ჩაიცინა. მსუბუქ სპორტტანსაცმელში გამოწყობილმა ინსტრუქტორმა ხელი დაუქნია ჩხუმლიანს და რაღაც დაუყვირა.

— უკვე დაგიმტკიცეს განაცხადი? — იკითხა მამამ.

— დაგვიმტკიცეს.

— როდის გადიხართ?

ჩხუმლიანმა ჯერ საჩვენებელი თითი მოისვა ცხვირზე, შემდეგ მამას შეხედა.

— ნახე და თუ არ მოგეწონება, უარს ვიტყვი ასვლაზე.

ბესარიონი საბოლოოდ დამშვიდდა.

— რამდენი ადიხართ?

ჩხუმლიანი კარგა ხანს სდუმდა. იცოდა, ამ კითხვას რა კითხვაც მოჰყვებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მაინც უნდა ეპასუხა.

— ორნი.

— რატომ ორნი! განაცხადში რამდენი იყავით?

— ექვსნი.

— მერე და არ დაგიმტკიცეს?

— ოთხი დაგვიმტკიცეს.

— მაინც ვერ გავიგე, რას ამბობ. მერე და ორნი რაღა იქნენ!

— ორმა უარი განაცხადა, — თქვა ჩხუმლიანმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— როგორ თუ უარი განაცხადეს!

ჩხუმლიანი მიხვდა, რომ მამა არ მოეშვებოდა და გადაწყვიტა ყველაფერი ეთქვა:

— ჩვენ ასეთი გეგმა გვქონდა: დონლუზ-ორუნის დაპყრობამდე მისი გვერდითი V-ა კატეგორიის კედელი გაგვევლო: ეს კედელი 1937 წელს მარკოვის ჯგუფმა გაიარა. კომისიაც გვირჩევდა, დაზვერვის სახით კარგი იქნება ეგ მარშრუტიო. ბოლოს, ავედით. იქიდან ჩვენი კედელი კარგად ჩანდა. იმ ორს ერთხელაც არ გაუხედნია დონლუზ-ორუნისკენ. რომ ჩამოვედით, სამი დღის შემდეგ უარი გვითხრეს. ძალით ხომ არ წავიყვანთ.

ბესარიონი გაბრაზდა. თვითონ სპორტსმენი იყო და კარგად ესმოდა, რომ ამისთანა საქციელს შიში ერქვა. თან გული სიამაყით ალევსო, რომ მის შვილს არ შეეშინდა. რასაკვირველია, ძალით ვერ წაიყვანენ, მაგრამ თვითონ სიცოცხლის ფასად რომ დასჯდომოდა, უარს მაინც არ იტყოდა. მაშინ თავიდანვე არ უნდა დათანხმებოდნენ. თორემ რასა ჰგავს, ჯერ დათანხმდნენ, შემდეგ უარი განაცხადეს! შეეშინდათ ალბათ. ძალიან საშიშია და იმიტომ თუ თქვეს უარი.

— ძალიან საშიშია?

— აი, მივალთ და ნახავ.

— ჰმ! მივიდეთ! მივიდეთ ბატონო და ვნახოთ! მეორე ვილაა?

— კახიანი.

— იოსები? — გაუკვირდა ბესარიონს.

ჩხუმლიანმა თავი დაუქნია.

— იოსებმა ხომ ფეხი მოიყინა იალბუზზე. ამბობენ, ერთი თითიც კი მოკვეთესო.

— მერე რა, — თქვა ჩხუმლიანმა. — იოსებს, იმ კედელზე რომ ავდიოდით, ჯერ ეშინოდა, ვერ ვივლიო, შემდეგ თავისუფლად მოდიოდა. იცნობდა კიდეც, მომიხდა თითის მოჭრაო.

— იოსებს როგორ მოეწონა ის კედელი?

— იოსებს უარი არ უთქვამს, — პირდაპირ პასუხს მოერიდა ჩხუმლიანი.

— მე გეკითხები, როგორ მოეწონა-მეთქი თქვენი კედელი!

— იოსებმა მითხრა, საშიში კი არის, მაგრამ ჩვენ კარგად გავივლითო.

ბესარიონმა ჩაახველა. იოსებზე ვერ შეედავება. გამოცდილი მთასვლელია და თუ მართლა მოჭრილი თითით მიდის, მის ჩხუმლიანს რაღა გააჩერებს. რაღა გააჩერებს მის გადარეულ ჩხუმლიანს! რატომ არ შეუძლია მიეფეროს, გადაკოცნოს! როგორ გულით უნდა მკერდზე მიიკრას თავისი ჯიუტი ჩხუმლიანი და მზით გარუჯული სახე დაუკოცნოს...

— მოვედით! — თქვა შოფერმა.

მანქანა გაჩერდა

— აგერ იქ ავიდეთ. იქიდან კარგად მოჩანს. აგერ დურბინდი!

მთის ფერდობზე ავიდნენ. ბესარიონი ქვაზე ჩამოჯდა, ფეხზე დგომისას ხელი ოროთის და კარგად არა ჩანსო.

დონლუზ-ორუნი!

აგერ ზევითა ნაწილი. ოჰოჰო! აქედან კარგად ჩანს, რა ძნელი უნდა იყოს. როგორ ავლენ ზევითა ნაწილზე — თოვლიან-ყინულოვან „ქუდზე“.

— კარგად ჩანს აქედან...

— როგორია ახლოს?

— დაქანებული, ყინულის თხელი ფენით დაფარული კლდეები გვხვდება.

— ჰმ! — ბესარიონმა შვილს შეხედა. ჩხუმლიანი თითქოს გულგრილად უყურებდა დონლუზ-ორუნს. არა, ვერ მომატყუებ, ძალიანაც კარგად ვიცი, რას განიცდი. — კიდევ?

— „ქუდთან“ გასვლისას უარყოფითი დახრა იწყება.

„ქუდი“! მთავარი „ქუდი“ უნდა იყოს! როგორ გავლენ!

— მარტო ქვათაცვენაა თუ ყინულცვენაც?

— ისიც, ისიც, — უხალისოდ დაეთანხმა ჩხუმლიანი. მაინცდამაინც არ მოსწონდა ასეთი დაწვრილებით გამოკითხვა. ჯერ კიდევ საეჭვო იყო, როგორ მოეწონებოდა მამას კედელი. მაგრამ მამა ხომ მთამსვლელია, ნუთუ მას არ დააინტერესებდა ასეთი რთული კედელი? მერე პირველსვლა...

ჩხუმლიანს იმედი გადაუწყდა, რომ ოდესმე მამა დურბინდს მოიცილებდა თვალებიდან და თავის აზრს გაუზიარებდა.

აგერ შოფერი გადმოვიდა მანქანიდან. ვიღაცას ელაპარაკება. ბალყარელი უნდა იყოს. ჩხუმლიანს ვერ გაერჩია, ვის ელაპარაკებოდა შოფერი. ფიქრებში გართულს არც კი შეუმჩნევია, როგორ წამოადგა თავზე მამა.

მდუმარედ დაეშვნენ გზაზე და ასევე მდუმარედ ჩასხდნენ მანქანაში. შოფერმა რამდენჯერმე ცნობისმოყვარეობით გადახედა მათ.

მანქანა თავაწყვეტით მიჰქროდა.

ასევე მდუმარედ მივიდნენ ალპურ ბანაკში.

ბესარიონმა შოფერს მადლობა გადაუხადა და შვილს ოთახში შეჰყვა.

პატარა, კოხტა ოთახი უჭირავს ჩხუმლიანს. მეორე საწოლი ვისი უნდა იყოს? მისი ჩხუმლიანი უკვე სპორტის ოსტატია; რამდენი ოქროს მედალი აქვს მოპოვებული: სახელი, დიდება — სწრაფად ადის სპორტის გოლგოთაზე. თანდათანობით იპყრობს სპორტის ციხე-სიმაგრეებს. აღარ დაუკვეხია თავისი წარმატებით ბანგურიანის შემდეგ. ახლა პირიქით, ხმას ვერ ამოაღებინებ: აბა, თუ წასცდება, გავიმარჯვეო. სხვებისაგან უნდა შეიტყოს შვილის წარმატება. აღარც ალარაფრის ეშინია. კარგადაც დადის მთებში. კედლებზედაც კარგად ცოცავს. ეს დონლუზ-ორუნი... და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ბესარიონი, უფრო მეტად მოსწონდა მთა. ძნელი კი უნდა იყოს. მერე რა, უთუოდ დასძლევენ. მით უმეტეს, იოსებსაც ასე უთქვამს. მთავარია ჩხუმლიანს რომ ასე უნდა მისი დაპყრობა. რა თვალები აქვს, როგორ უყურებს... დაელია ალბათ მოთმინება, ახლა სხვა ალარაფერზე აღარ შეუძლია ფიქრი და რომ დაუშალოს კიდეც, დარდით ავად გახდება: როგორ უნდა, ოჰ, როგორი ჯიშიანია!

ბესარიონმა ჩაიცინა, ჩხუმლიანმა დაკვირვებით შეხედა და თავისუფლად ამოისუნთქა. ზღვისფერ თვალებში კეთილი ხხივი უციმციმებდა მამას. მადლობა ღმერთს, თანახმაა!

— ხომ ვიცი, ერთი სული გაქვს, როდის შეიტყობ ჩემს აზრს.

ჩხუმლიანმა გაუცინა:

— დარწმუნებული ვიყავი მოგეწონებოდა.

— ჰო, მომეწონა, თითქოს შემიყვარდა კიდეც. ძნელი კი არის, ძალიან ძნელი. მე ქვათაცვენის მეშინია, თან შენ ამბობ, ყინულცვენაც არისო. ეს უფრო გაართულებს სვლას. მერე ყინულოვანი კედელი და უარყოფითი დახრა. ყველაზე ძნელი მაინც თოვლის „ქუდი“ იქნება.

ჩხუმლიანმა კვლავ გაუღიმა.

— მე წავალ, შვილო, ჩვენებს ვეტყვი, გადავათქმევინებ-მეთქი. წავალ, შენს წვალებას ვერ ვუყურებ. ვიცი, რომ გაგიძნელდება ასვლა: განსაკუთრებით „ქუდზე“ გადასვლისას. წავალ, ნადირობას გადავაყოლებ გულს და როდესაც ყველაფერი კარგად დამთავრდება, შემატყობინე...

* * *

იმ დღეს მთელი ბანაკი ტერსკოლში ამოვიდა მათ გასაცილებლად. ჩხუმლიანმა შეამჩნია, რომ აბალაკოვის ჯგუფის თითქმის ყველა წევრს საუცხოო დურბინდები წამოეღოთ. თვით აბალაკოვი ძალზე გულთბილად არიგებდა ორივეს, ნუ აჩქარდებით, დაუკვირდით, როგორ მოიქცეთო; მთავარი ასეთ შემთხვევაში თითოეული ნაბიჯის, თითოეული მოქმედების გააზრებააო. ორი თაობის წარმომადგენელი, ორი მთამსვლელი — სახელითა და დიდებით შემკული აბალაკოვი და დიდი პერსპექტივების მქონე ჩხუმლიანი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და დანარჩენები მდუმარედ უსმენდნენ. აბალაკოვი ადვილად ხვდებოდა, რომ ჩხუმლიანს აღარც დარიგება სჭირდებოდა და აღარც სწავლება. მთები ჩხუმლიანმა ისე იცოდა, როგორც მის ასაკში სხვამ მიახლოებითაც არ იცის და რომ გამოცდილებასა და დამატებით ცოდნას იგი აქ, დაბლა კი არ ღებულობდა ზოგიერთივით, არამედ მთებში ყოფნისას, ასვლების დროს. აბალაკოვმა ისიც იცოდა,

---

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 9.

რომ თითოეული ახალი ჩხუმლიანის გამოცდილებას უფრო მეტად აღრმავებდა და უფრო მაღლა სწევდა მის სახელს მთამსვლელთა წრეში. მაინც გულითადად არიდებდა. არიდებდა იმიტომ, რომ სადღაც გულის სიღრმეში ეჭვი ეპარებოდა — ვაი თუ ეს წამოწყება მშვიდობიანად არ დამთავრდეს. მარტო ხნოვანება არ აწუხებდა თვით აბალაკოვს დონღუზ-ორუნის ამ მარშრუტის წინაშე. ალპინისტისთვის ბრწყინვალე ცხოვრებაგამოვლილს კარგად ესმოდა, რომ წლების გადაურის შემთხვევაშიც კი ქედს მოიხრიდა ამ კედლის წინაშე. და სწორედ აქ გრძნობდა იგი ჩხუმლიანის სიდიადეს, მის უპირატესობას. აბალაკოვს სჯეროდა, რომ დონღუზ-ორუნი არაფერს ნიშნავდა ჩხუმლიანისთვის, რომ იგი უფრო რთული ასვლების მონაწილე გახლდებოდა. ახლა მას ეეჭვებოდა, რომ თვითონ იგი შესძლებდა ჩხუმლიანის გზის გამეორებას...

მეორე ღამეს, სამ საათზე გემრიელი საჭმელი გაუმზადეს და ორივენი გზას გაუდგნენ.

დონღუზ-ორუნის ჩრდილო-დასავლეთის კედელი 1200 მეტრს უახლოვდებოდა და ჭერ მას ადამიანის ფეხი არ გაჰკარებოდა. განსაკუთრებით აფრთხობდათ მთამსვლელებს ზევითა ნაწილი, რომელიც თოვლისა და ყინულის სახით გადმოფარებოდა კედელს ქუდივით.

პირველ დღეს კარგად იარეს და თითქმის კედლის ნახევარს მიაღწიეს.

ზევიდან შესანიშნავად მოჩანდა მუდმივ მწვანეში ჩაფლული პატარა და ლამაზი ტერსკოლი. ჩხუმლიანი და ოსები ამჩნევდნენ, რომ გზა მანქანებით და ხალხით იყო დაფარული და ვერ გაეგოთ, ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ ამდენი ხალხი შეკრებილიყო. რა იცოდნენ, რომ ეს ადამიანები მათი მაყურებლები იყვნენ და თითოეულ მათ ნაბიჯს დურბინდით ათვალიერებდნენ.

ექვსი საათისათვის გადმოკიდებული კლდის ქვეშ შეჩერდნენ. ქვათაცვენა ძლიერი იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა კარვის დადგმა. ცოტა უნდა შეეცვალათ მხოლოდ. ჩხუმლიანს მოთმინებამ უღალატა და აბუზღუნდა, მაგრამ ოსებმა თავისი გაიყვანა; ღამის ცხრა საათისათვის, როდესაც ყველაფერი მაგრად მოჰყინა, პატარა მოედანზე გავიდნენ, იქ, სადაც კარვის დადგმა შეიძლებოდა. ჩხუმლიანმა ნიშანი მისცა მეთვალყურეთა ჯგუფს, ყველაფერი კარგად არისო და შემდეგ კარვის დადგმაში მიეხმარა ოსებს.

გადაწყვიტეს, ყოველ შემთხვევისათვის თავშექცევით დაწოლილიყვნენ. ქვა თუ დაეცემოდათ, ერთი მათგანი მაინც გადარჩებოდა: ის იყო, უნდა მოწყობილიყვნენ, რომ ქვის ვარდნის ამაზრზენი ხმა მოესმათ. განძრევა ვერ მოასწრეს და ხუთფუთიანი ქვა კარავს შუაში დაეცა. გაოგნებული მთამსვლელები მდუმარედ მისჩერებოდნენ ერთმანეთს. თითქოს სიზმარში მოხდა ყველაფერი — როგორ ბეწვზე გადარჩნენ... სწორედ მათზე ყოფილა გამოგონებული ეს ხატოვანი გამოთქმა! კიდევ კარგი, ჭერ მოწყობილები არ იყვნენ, თორემ თავქვეით დაწოლაც არ უშველიდათ... ახლა ძილზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. კარავი დაზიანდა და ახალი ადგილის ძებნა საშიში იყო და აზრიც აღარა ჰქონდა.

ის ღამე თეთრად გაათენეს და ორიოდე თუ არა, ქვათაცვენის დაწყებამდე გავიდნენ. გზა არც თუ ისე რთული იყო — პირველი კლდოვანი სამკუთხედი შედარებით ადვილად დაძლიეს. ერთი მეორის დაზღვევით მიდიოდნენ. კარგ ფორმაში იყვნენ და მსუბუქად სძლევდნენ კლდოვან სამკუთხედს. შემდეგ თოვლ-ყინულოვან „ჭვარზე" გავიდნენ. მარშრუტის ორივე მხარეს ზვავის დარები იყო და საოცარი სიცხადით ხედავდნენ, როგორ ცვიოდა ქვები და ყინულის ნამსხვრევები. პირველად ხშირად უყურებდნენ, მაგრამ თანდათანობით მიეჩვიენ მის ხმაურს და თითქოს ართობდათ კიდეც ამ უკაცრიელ მთაში ეს უჩვეულო ხმაური.

მონაკვეთს წრიაპებით სძლიეს. შემდეგ ბერგშრუნდმა გადაუღობათ გზა. იგი ყინულის პალოებითა და თოკის კიბეებით სძლიეს და კვლავ კედელთან გავიდნენ.

ამ დღესაც ძალიან კარგად იარეს და საღამოსთვის დიდი ყინულოვანი „ქუდის" ძირში აღმოჩნდნენ. კარვის დადგმა არ შეიძლებოდა, ძლივს ჩამოსხდნენ. ოსებმა მუხლებზე პრიმუსი დაიდგა და აანთო. დანაყრდნენ თუ არა, ხვალინდელი დღის დაგეგმვას შეუდგნენ: ყინულის „ქუდი" ოც მეტრზე იყო გადმოწეული. ჭერ საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ასეთი ადგილი არავის გაევლო. საეჭვოც კი იყო მისი გავლა, მაგრამ იცოდნენ, რომ ახლა უკვე სხვა გამოსავალი არ იყო. წინ თუ წავიდოდნენ, თორემ უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა.

შემდეგ ჩხუმლიანმა კარგად ყოფნის ნიშანი მისცა.

ზევიდან ხედავდნენ, როგორ ნათდებოდა მთელი ხეობა სხვადასხვა ფერის შუშხუნებით. განათდებოდა ერთ წამს ყველაფერი მწვანედ, ყვითლად, წითლად და იმავე წამს სიბნელეში ჩაინთქმებოდა. ცოტა ხნის შემდეგ პროჟექტორები მოანათეს და ამ ძნელსა და რთულ მთაზე შემორჩენილი მთამსვლელები სრულებით არა გრძნობდნენ სიმარტოვეს.

დილით ოსებმა პრიმუსი კვლავ მუხლებზე მოიწყო და ტოლჩა შედგა ახადუღებლად. უცებ, ზურგით მდგომ ჩხუმლიანს მის ყვირილზე თვალი დაუბნელდა. როგორც იქნა შემოტრიალდა და განცვიფრებით მიაჩერდა მთელსა და უვნებელ ოსებს:

— რა დაგემართა?

— რა უნდა დამმართნოდა! — გაბრაზდა ოსები. — ყინულის ნატეხმა წყალი დამიქცია.

ჩხუმლიანმა იცოდა, რომ ოსები ზომაზე მეტად იყო გატაცებული წესრიგითა და უნებლიედ გაეცინა.

— რა გაცინებს! — ეწყინა ოსებს. — წყალს შენთვის ვადუღებდი. თანაც ტოლჩა გამოფუშდა.

— რა კაცი ხარ, წყალსა და ტოლჩას ჩივი? — შემდეგ მზრუნველად შეეკითხა, — ხომ არ მოგხვედრია?

— მხარში მომხვდა, მაგრამ არაფერია.

ჩხუმლიანმა მხარი გაუსინჯა. მთლად გაშავებოდა. ახლა ჩხუმლიანი გაბრაზდა. იცოდა, რა ტკივილებს უძლებდა, მაგრამ ოსებმა თავისი გაიყვანა და სულ მალე ყინულის კედელს გაუყვნენ. იგი ას მეტრამდე გრძელდებოდა. შემდეგ უარყოფითი დახრა იწყებოდა.

ოსებმა ქვეშ სამი პალო დაარჭო და კარგი დაცვა გააკეთა.

ჩხუმლიანი კვლავ წინ გავიდა. ჩაარტყა თუ არა უარყოფითი დახრილობის კედელზე ყინულს პირველი პალო, არც ხმა მოეწონა, არც ის, როგორ ჩავიდა. იცოდა, პალო სანდო არ იყო, ყოველ წუთს შეიძლებოდა მომწყდარიყო, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა და ჩამოეკიდა. თან ოსებს გადმოხედა. დაინახა, რომ ოსებმა მზერა აარიდა, შემდეგ საერთოდ შებრუნდა. არც ოსებს ჰქონდა ამ პალოს იმედი და ამიტომ აღარ უყურებდა ჩხუმლიანს. თოკი ჩაიხვია უფრო მაგრად და ისე ელოდა მოსახდენს.

კიდევ ჩაარტყა ჩხუმლიანმა ყინულს პალო — ისევ არ მოეწონა არც ხმა, არც ის, როგორ ჩავიდა ყინულით დაფარულ კედელზე. მაგრამ კვლავ აიწია ზევით და ახლა მეორე პალოს ჩამოეკიდა. მოწყვეტის შემთხვევაში ვერც პირველი პალო დაიმაგრებდა და ვერც მეორე. ამასთან ვარდნის ძალა გაიზრდებოდა. მაინც წავიდა ისევ წინ და ახლა მესამე პალო ჩაარტყა. და მხოლოდ მეექვსე რომ ჩაარტყა, მაშინ შეხვდა მყარი ყინული. იგი კარგად იმაგრებდა პალოს. ჩხუმლიანი უკვე გაბედულად ჩამოეკიდა. თან ოსებს ჩამოხედა, რომელიც წელანდელივით მზერას არიდებდა და თოკჩახვეული იდგა ჩხუმლიანის მოწყვეტის მოლოდინისაგან გულგადაღლეული. ოსებმა შეხედა და... შვებით გაუცინა.

შემდეგ ისევ წინ წავიდა ჩხუმლიანი. თითქმის ათხუთმეტი მეტრი დასძლიეს. ცოტაც და ყინულოვან-თოვლიანი „ქუდი" უკან დარჩება.

ჩხუმლიანმა შეისვენა. ნერვები საშინლად ჰქონდა დაძაბული. შემდეგ კვლავ წინ წავიდა...

მხოლოდ შუადღისას გავიდნენ მწვერვალზე.

ტერსკოლში ზალპმა იქუხა.

დაღლილ-დაქანცულ ჩხუმლიანს მკლავები დაუზილა ოსებმა. დაზელვის შემდეგ ოდნავ მოეშვა დაჭიმულობა და დაღლამაც თითქოს გაუარა.

მეორე დღეს საღამოთი ჩამოვიდნენ ბანაკში.

იყო 1957 წელი, 26 ივნისი.

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფიდან გამდლიშვილი გადაჰყავთ ბაქოში ისევ კავშირგაბმულობის უწყებაში სამუშაოდ.

ბაქოში სერგო კვლავ განაგრძობს რევოლუციურ საქმიანობას. 1908 წლის თებერვალში იგი დააპატიმრეს და ოლენეცის გუბერნიაში გადაასახლეს. მალე იგი გადასახლებიდან გამოიქცა. ივნისში გადასახლებიდან გამოქცეული სერგო ბაქოში ჩამოდის. მაგრამ მისი აქ დარჩენა შეუძლებელი იყო. რსდმპ ბაქოს კომიტეტი მას ირანში, რეშთში აგზავნის, როგორც ნობელის ქარხნის მუშას.

როგორც ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „ახალ სხივში" გამოქვეყნებული მისი წერილებიდან ჩანს, ირანში ქართველი რევოლუციონერები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. ისინი მალულად ცხოვრობდნენ ქ. რეშთში, შაჰის მთავრობისადმი მტრულად განწყობილ მოუზემ სულთანისა და მისი ძმების ბინაში. ხუთმა კაცმა, რომელთა შორის სერგო გამდლიშვილი და ბათუმელი ვალიკო (გვარი ცნობილი არ არის) იყვნენ, მოაწყვეს თავდასხმა გილანის გუბერნატორის ამალაზე, ეს გახდა სიგნალი აჯანყებისა შაჰის მთავრობის წინააღმდეგ. რევოლუციონერებმა ხელში აიღეს ძალაუფლება ქ. რეშთში და მალე მთელი გილანის პროვინცია გაანთავისუფლეს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გამდლიშვილი იყო უაღრესად აქტიური მონაწილე ენზელის, ყაზვინის და თეირანის ბრძოლებისა.

1909 წლის შემოდგომაზე გამდლიშვილი, სხვა ბრძოლაგადახდილ ქართველ რევოლუციონერებთან ერთად, ირანიდან ბაქოში ბრუნდება. იქიდან მალე თბილისში მოდის და აქ თავისი დღიურების მიხედვით წერს და „ახალ სხივში" აქვეყნებს ზემოაღნიშნულ ნარკვევებს „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან".

თბილისიდან გამდლიშვილი, თავის უახლოეს თანამებრძოლებთან, ს. ზარიძესა და კ. კორინთელთან ერთად, რუსეთს გაემგზავრა. ისინი გზაში ოხრანკამ დააპატიმრა, სამივენი ჩამოახრჩვეს ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი), 1910 წლის 18 ნოემბერს.

ასე ტრაგიკულად დასრულდა 28 წლის ვაჟკაცის სიცოცხლე. ის იყო შესანიშნავი რევოლუციონერი და ინტერნაციონალისტი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის უკეთილშობილეს საქმეს.

გიორგი ჭიკაშვილი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი.

## ოთარ ქუპრავა

# მტრედის ხიდი

გაცოფებული მოვარდა მტკვარი,
მთებს ემუქრება მოხრით და მოთხრით.
ცხრაასსამოცდარვა წელი არი —
ჩემი სიცოცხლის ორმოცდათოთხი.

მტკვარზე ერთი მაქვს ხიდი ხავსი,
გაღმა-გამოღმა მაგარი ბურჯით.
მრუმე ხალებავს დაადგა თვალი
მტკვარმა
და ფიცხლავ დაბლურჯა ფუნჯი.

მტკვარზე ერთი მაქვს ხავსი ხიდი,
მტკვარი ანგრევს და წალეკულს ხატავს,
დაშლილ ტივივით თვალალმა მიდის
დასაფიცავი ხალოვაც ხატად.

გაღმა ძმაა და მე ვარ გამოღმა,
ვერ გავუხილეთ ერთურთს ახანთი...
მტკვარო, რა ბოღმის ჭანდი გამოგყვა,
რად გამიწყვიტე ძმის მახლაათო!

შენ ბევრი ურდო გაანადგურე,
შენ ჩაუქროლე არმაზს კვილით
და პომპეუსის ხიდის აგური
გაქვს შერჩენილი ცალი კბილივით.

მაგრამ ამ ხიდთან რა გსურდა ახლა!
გაღმა კვესია, აქეთ — აბედი...
ადამის დროით ტინებს შუბლს ახლი
და ვერ დაღუღდი, ისე დაბერდი.

როგორ გავაბა გრიგალზე ბინდი,
გაღმა დედაა, აქ ბავშვი ტირის...
ცხრაასსამოცდარვა წელს აბოდებს
და გატეხილი წყალს მიაქვს სტვირი...

— მტრედო, გულთეთრო, გულმარგალიტო,
კვერცხები დავრჩა გაღმა ბუდეში,
ბუდეს აკლდება თანდათან სითბო,
შენი სითბო და შენი ნუგეში.

გაღმა ხალხია — გამოღმელები,
მოდი, გვიშველე ჩვენც — ამ გაღმელებს!
ახლა რომ მტკვარი ასე მოღმუის,
ხვალ ალბათ ისევ მზე აგვამღერებს.

შენ უწინამძღვრე ნოეს კიდობანს,
ზეთისხილის შტო შენ მზოვე, მტრედო,
მე შემიძლია შენთვის მინდობა,
მე შემიძლია ყოველთვის გენდო.

...მიფრინავს მტრედი, — ბუდე ეძახის,
მიაქვს მობმული კანაფი გრძელი.
ისევ გუგუნებს მტკვარი და ხალხი
საბედისწეროდ განაჩენს ელის.

გადარჩა!..
ბოლო მიელო ლოდინს,
დაძლეულია ავდრული ბინდი:
კანაფით გააქვს ხალხს თოკი... ბოლდი...
და გაბმულია გრიგალზე ხიდი.

ცხრაასსამოცდარვა წელი არი,
მტკვარს გაგიჟება წლეულს მოუნდა.
იყოს ღელვა და შეშლილი ქარი,
ახეთი ბრძოლა მაშ იყოს მუდამ.

იყოს მზე, იყოს ამინდი ცხელი,
მერე ხანაბლედ ღამე გათენის...
დღეს — „მტრედის ხიდი" — წმინდა სახელი
შემოემატა ჩემს საქართველოს.

* ხიდი ბორჯომთან.

## ნოდარ ჯალაღონია

# ხ მ ა

მაშინ აქვს ფასი მიუვალ მწვერვალს
სანამ ოცნებით ღამეებს უთევთ,
ხანს ამაოა ღმერთების წყევლა,
ის ყველა ღმერთებს ამხობს და უტევს.
ეს საუკუნე,
— ფაუსტის სული,
ამხედრებული საკუთარ ბედზე,
მაგრზე,
წყალში,
მიწაზე,
ცაში
თავაწყვეტილი მიჰქრის და ეძებს —
კითხვებს, რომელიც გვაწვალებს ასე,
კითხვებს, რომელსაც ათხოვენ წლები.
ეს საუკუნე
ან პასუხს გასცემს
ან საკუთარ თავს დაუსვამს წერტილს.
ახლა კი ისევ მიჰქრის და მიჰქრის
რომ საიდუმლოებებს ახადოს ფარდა,
კუნაბტერივით ანთია ფიქრი
და სითბოსა და სინათლეს ფანტავს.
თუმც დედამიწა არის კეთილი,
ზოგი სიცოცხლე ამიღის ველად,
სიცოცხლეები და ნატვრიანი კვლებს
ვარსკვლავები როგორც ანთებულ კერანს.
და ეძებენ, —
ქვეყნის წყალი და ხეებიც
ხანდახან კაცის ენით საუბრობს,
ანგელოზები ცაში არ სხედან
და არც მიწაა მათი სავალი.
და ბოროტებაც ლაჟღავს გულებს,
როგორც სხვის ბუდეს ეძებს გუგული,
როგორც ვულკანი ელის და უცდის
და მილიონობში ჩუმად გუგუნებს.
ვისა აქვს ამ დროის დუმილის ნება,
სანამ დროა და არ არის გვიან,
ათასთავხჭერ ფუცრი და მტრედ
ვიღაც როკვეტა ხანგარი, ტყვია.
ხმაა საჭირო, ხმაა საჭირო,
ხმაა საჭირო
— მიწის თუ ცისა,
მდინარის,
თოვლის,
ჩიტის
თუ ხისა,
ჩემი და შენი
ჩვენი და სხვისა,
ცრემლით და სისხლით,
წყევლით თუ რისხვით,
ნათქვამი ხმა,
ხმა,
ხმაა
საჭირო.



## ჯემალ ქელიძე

# ფიროსმანს

დახლზე დაიწყობ მილეულ მკლავებს,
თავს ძლივს აკავებ.
და შენი თხოვნაც [illegible]
ჭიქა არაყი ჭიქას ვერ მოიკლავს, ჩემო ნიკალავ!
თუმცა მშიერ კაცს ისე სჭირდება,
როგორც გულს ცეცხლი:
შეზარხოშებულს თვალს მოეტაცებს
ვარსკვლავეთ ცამცამი,
რომელიც შენი სინდისივით
შუქს ფენს უკუნეთს,
ტანზე გაცვია სილატაკე
თვით საუკუნის
და მოხრილ მხრებზე
დაწოლილია ქვეყნის სიმძიმე.
ქვეყანაც ყველა კაცს თავის გზა აქვს.
თავის გზით მიდის,
შენც მხატვრის ფუნჯში
აგიკანხავს შენი ავ-კარგი.
შველარისაც თან გიყვა მოიკვლილივით
კრიმალვა და რიდი...
სამარე შენი რატომ დაეკარგე.

# სურვილი

ვერ დავიკვეხებ,
რომ ერთი ვარ ამ ქვეყანაზე.
ვინც ამ სურვილით დაიბადება
ქალაქად, სოფლად:
არ მსურს არც ერთი სარეველა
ბუჩის ყანაში,
ან ტყუილ-უბრალოდ დაიღვაროს
ვინდ წვეთი ოფლიც-
არ განახნავით
ხახის ფური ისე ადვილად,
ადამიანი არავის დახვდეს
ვით მტერს და უცხოს,
„ომი" — კი დარჩეს, საიმედო,
მუდარით აღვილას, —
და არსებობა ლექსიკონში
მისი გვაუწყოს.

## გიგა მახვილაძე

# უცნობი ჯარისკაცის საფლავი

— ფშვნიაში ბანი, მოგიხლი ბიჭიში,
მითხარ გეთაყვა: აქ ვინ მარხია,
ვინ დაიღუპა, როგორ და როდის
და ამ საფლავზე ან ეს რა ხეა?

დუმს ცისფერთვალა, დუმს ერთი წამით,
მატოვს სცემს გმირთა სახელს და ხსოვნას,
ის დაცემული სწორედ ამ ღამით,
როცა ვარშავა დატოვა ომმა.

არავინ იცის ვინ არის იგი
და უხმო ცრემლით რომელს ატირებს,
მერამდენეა მოკლული რიგით,
ან ამ საფლავში როგორ დახტავს.

მე ვიცი მხოლოდ: ის ძმაა ჩემი,
შენი მამა და სხვისი ბიძია,
ის ომს ებრძოდა ვით ქარებს გემი
და სამშობლოსთვის შერჩა აისა.

ნურარ დაარქმევთ: „უცნობ მეომრის"
საფლავებს, გაშლილი ქარში ფარჩებით,
თავისი სახით, თავის მეობით,
ომში უცნობი არავინ დარჩება.

# მშვიდობის სადარაჯოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-19 საუკუნის დასასრულის გერმანული რაიხსტაგის არქივებში შემორჩენილია ოქმი იმ სხდომისა, რომელზეც ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა ჰკითხეს ავგუსტ ბებელსა და ვილჰელმ ლიბკნეხტს — როგორ წარმოგიდგენიათ მარქსისტებს მომავალი სოციალისტური სახელმწიფოო. ბურჟუაზიული სახელმწიფოს მესვეურნი ვარაუდობდნენ, რომ გერმანიის პროლეტარიატის ბელადები იძულებული გახდებოდნენ ეღიარებიათ — მუშები სახელმწიფოს ვერ გაუძღვებიანო, მაგრამ ამ შეკითხვას რომ უპასუხებდა, ბებელმა განაცხადა, რომ მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში მუშები „შეძლებენ არა მარტო სახელმწიფოს მართვას, არამედ იმ საწარმოების ხელმძღვანელობასაც, რომლებშიც დღეს ისინი მხოლოდ მონებს წარმოადგენენ“.

ბებელის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ გერმანულ მიწაზე, მშრომელთა მასების ნება-სურვილით წარმოიქმნა მუშურ-გლეხური სახელმწიფო. თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა ის, თუ რისი უნარი შესწევს კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებულ მუშათა კლასს.

ოცი წელია ოცნებობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დალუპვაზე ყველა ჯურის რეაქციონერები ბონიდან ვაშინგტონამდე, ოცი წელია სიცრუისა და ცილისწამების ბურუსში ხვევდნენ მას იმპერიალიზმის გაქნილი და გაწაფული იდეოლოგები, ოცი წელია მოსპობით ემუქრებოდნენ მას რევანშის მოსურნე გენერლები და მათი ავანჩავანნი, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, რესპუბლიკამ გაუძლო ყოველგვარ სიძნელეს, გადალახა ყველა დაბრკოლება და ფეხზე მტკიცედ მდგარი, მხრებგაშლილი, სამუდამოდ ეზიარა ახალ თავისუფალ და მშვიდობიან ცხოვრებას.

ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს სტაბილური, წლიდან წლამდე მზარდი ეკონომიკა, ზუსტად და ოპერატიულად მომუშავე სახელმწიფო მექანიზმი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ახალი ტიპის მაღალკვალიფიცირებული კადრები, აქვს ახალი სოციალისტური კულტურა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოო ძალების დინამიური განვითარების შესახებ დამაჯერებლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ახლა რესპუბლიკა აწარმოებს უფრო მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე აწარმოებდა მთელი გერმანია 1937 წელს, თუმცა ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ იგი წარმოადგენს ომამდელი გერმანული სახელმწიფოს ერთ მესამედზე ნაკლებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შედის მსოფლიოს უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფოების პირველ ათეულში, მას მსოფლიოში მე-4 ადგილი უჭირავს სინთეზური კაუჩუკის წარმოების დარგში; იგი აწარმოებს უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ინდოეთი ან ნორვეგია, ზედიზედ უშვებს წყალში ახლადაგებულ გემებს. მაშინ როცა ადრე, ყოფილი რაიხის ამ ნაწილზე მოდიოდა მაშინდელი გერმანიის მთელი გემთმშენებლობის მხოლოდ 4 პროცენტი.

ბოლო წლების მანძილზე დიდად გაიზარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი, გაფართოვდა მისი დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული კავშირი სხვა სახელმწიფოებთან. ეს თვალსაჩინოდ დაგვანახვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობამ ერაყის, სუდანის, სირიისა და კამბოჯის მიერ. ამჟამად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული 17 ქვეყანასთან. მას თავისი წარმომადგენლები ჰყავს 250-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციაში. იგი ვაჭრობს დაახლოებით 110 ქვეყანასთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დახმარებით აიგო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ელექტროსადგური, ბამბის სართავი ფაბრიკები, პურსაფქვავი საწარმოები, ცემენტის ქარხანა; სირიას იგი ამარაგებს კომპლექსური აღჭურვილობით მთელი რიგი საწარმოო ობიექტებისათვის, ცეილონს ეხმარება უდიდესი საფეიქრო კომბინატის მშენებლობაში და ა. შ.

შეერთებულ შტატებში ახლახან გამოსული წიგნის „სხვა გერმანიის“ ავტორი, ჟურნალისტი ჯონ დორნერგი აღნიშნავს: „მაშინ, როცა დასავლეთმა ზურგი აქცია და ავი სულივით ანათემას მისცა აღმოსავლეთ გერმანია, მან, ამ აღმოსავლეთმა გერმანიამ, მდუმარედ გაშალა თავისი კუნთები და გადაიქცა ისეთ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ძალად, რომელსაც დღეს გვერდს ვეღარავინ ვეღარ აუქცევს.“

მართლაც, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში იმდენად აშკარაა, რომ მისი უარყოფა არ შეუძლიათ დასავლეთის პრესის ყველაზე რეაქციულ ორგანოებსაც კი. ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთი „გარდიანი“ იძულებულია აღიაროს, რომ „სახელმწიფოში, რომელიც დასავლეთის თვალსაზრისით თითქოს არ არსებობს, საქმეები ჩინებულად მიდის. მართლაც, არც იქნება გაზვიადებული, თუ მის ეკონომიურ წარმატებებს, აღმოსავლეთ-გერმანულ ეკონომიურ საოცრებას ვუწოდებთ... აღმოსავლეთ გერმანია მუშაობს და ჰყვავის“.

მსოფლიო იმპერიალიზმი, პირველ რიგში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ვერ ურიგდება მოვლენების ასეთ განვითარებას, ვერ ურიგდება ევროპის გულში წარმოქმნილსა და დღითიდღე მზარდ სოციალისტური სახელმწიფოს არსებობას. რევანშიზმის სულისკვეთებით განმსჭვალული დასავლეთგერმანელი მმართველი წრეები ძალღონეს არ იშურებენ, რათა ძირი გამოუთხარონ გერმანიის ახალ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. მაგრამ ბონის რევანშისტული ზრახვები განწირულნი არიან ჩასაფუშავად. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ როგორიც გნებავთ ხელყოფა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებისა უსათუოდ წააწყდება ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების საპასუხო დარტყმას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ მიჰყვება მშვიდობისა და თავისუფალი შრომის გზას, რომელიც მან ერთხელ და სამუდამოდ ამოირჩია. ამ დღეებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ დიდ დღესასწაულს — თავიანთი რესპუბლიკის დაბადების ოცი წლისთავს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ოცი წელი — ეს არის ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა, მუშათა და გლეხთა გერმანული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების ოცი სახელოვანი წელი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ დგას ევროპის ხალხთა მშვიდობის სადარაჯოზე.

**მაქს ციმერინგი**

## ვნახე ლენინი

მე უთვალავჯერ ვნახე ლენინი,
ბრძენი ბელადი მზედ მოვლენილი,
დაზგასთან ვნახე, როგორც მშრომელი,
საქმით გართული, დაუცხრომელი.
მე მაღაროში ვნახე მუშებთან,
პიტალო კლდეებს წერაქვს უშენდა,
მინდორში ვნახე გლეხებთან მდგარი,
შემწე იმათი და ამაგდარი.
ვით მეზღვაური ვნახე მე იგი,
მთელ დედამიწას უვლიდა ირგვლივ.
ვნახე მაისის პარადზე დილით.
დასთამაშებდა სახეზე ღიმი,
წინ მიუძღოდა ქუჩებში მასებს,
სიხარულით და ხალისით სავსე.
ვით მებადური ვნახე მე იგი,
ზღვა მორჩილებდა ლურჯი და მშვიდი.
მე ვნახე იგი ზედ ფრონტის ხაზზე,
თოფში რომ მშვიდად აწყობდა ვაზნებს;
პარტიზანებთან ვნახე ლენინი,
მტერზე მახვილად ამოწვდენილი;
მე სტალინგრადთან ვნახე ლენინი,
გმირი ქალაქის ხსნად მოვლენილი.
ის აფრიკაში შველოდა მონებს,
ანთებდა რწმენით, მატებდა ღონეს,
ებრალებოდა ჩაგრული ყველა,
თავს ევლებოდა, ვით ცისარტყელა.
სადაც ტანჯული ხალხი დგებოდა
და სისხლის ძაფით იქსოვებოდა
თავისუფლების დროშა ფერადი,
იქ იყო მუდამ დიდი ბელადი.
ხალხს ასწავლიდა ის ბრძოლას მედგარს,
მტკიცე იმედად მათ მხარში ედგა...
მე უთვალავჯერ ვნახე ლენინი,
ბრძენი ბელადი მზედ მოვლენილი.

გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვა „ისინდი“

ფოტო თარხან არჩვაძისა.

# ერთი უცხოური ენციკლოპედიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისში, გალის ქუჩაზე დგას ერთი მწვანეში ჩაფლული სახლი, რომლის ჭიშკარს წარწერილი აქვს — კოლხური კოშკი.

აქ ცხოვრობს და მუშაობს ჩვენი დროის დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია.

მწერლის სამუშაო კაბინეტის კედლები შემკულია ქართული და უცხოური ხელოვნების მრავალი ძვირფასი ნაწარმოებით, მათ შორის არის ლადო გუდიაშვილის უმშვენიერესი ქმნილებანი.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ერთ სურათს მწერლის კოლექციიდან. ესაა ლ. გუდიაშვილის ილუსტრაცია კონსტანტინე გამსახურდიას ნოველისთვის. რომელიც მხატვარს თავის სიჭაბუკის წლებში შეუსრულებია და მწერლისათვის უჩუქებია.

თავის ერთ წერილში კონსტანტინე გამსახურდია წერს:

„ლადო გუდიაშვილი ამ ორმოცდაათი წლის წინ დამიმეგობრდა. იგი ხშირად მოდიოდა ჩემთან ღარიბულ სტუდენტურ ოთახში, რომელსაც ვქირაობდი ხოლმე ტფილისში, უცხოეთიდან კანიკულებზე ჩამოსული. იმ ხანად ქართულ ხელოვნებას განმკითხავი და პატრონი არა ჰყავდა. უჰონორაროდ ვწერდით და ვხატავდით, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისაგან შეძრულნი.

მახსოვს, ლადომ მაჩუქა იმ წლებში არა ერთი სურათი და ესკიზი. მე ისინი მომწონდა და მიყვარდა, მაგრამ იმ ჟამად სახლკარი არ გამაჩნდა, რადგან ცხრაასხუთი წლის რევოლუციის შემდეგ დაწყებული რეპრესიების მეოხებით მამისეული ოჯახი თავზე დამანგრიეს. მახსოვს ერთხელ ხუმრობით ვუთხარი ლადოს: მე, ალბათ, საკუთარი სახლის კედლები არარასოდეს მექნება შენი სურათების დასაკიდებლად, მაგრამ წიგნების დაწერა თუ ოდესმე შევძელი, შენს ილუსტრაციებს გამოვიყენებ-მეთქი“.

**სურათზე:** „მონადირე“, ილუსტრაცია კონსტანტინე გამსახურდიას ნოველისათვის, შესრულებული ლადო გუდიაშვილის მიერ.

ლენინის სახელობის მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის დირექციამ ამ დღეებში — კონსტანტინე გამსახურდიას გამოუგზავნა ჰოლანდიაში (ქ. ლაიდენი) გამოცემული წიგნი „ჰანდბუხ დერ ორიენტალისტიკ“ („ორიენტალისტური ენციკლოპედია“), სადაც მოცემულია ცნობები ჩვენი გამოჩენილი ქართველი რომანისტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ქვემოთ მოგვყავს ენციკლოპედიაში დაბეჭდილი წერილი მცირეოდენი შემოკლებით:

კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა 1895 წელს, დასავლეთ საქართველოში. 1912 წლიდან იგი სწავლობდა კენიგსბერგის, ლაიპციგის და ბერლინის უნივერსიტეტებში. ბერლინში მიანიჭეს მას მაღალი პატივი ფილოსოფიის დოქტორისა. 1923 წელს უსმენდა იგი ბერგსონს პარიზულ უნივერსიტეტში. 1912-23 წლებში დოქტორმა გამსახურდიამ შემოიარა ინგლისი, ავსტრია, საფრანგეთი, სკანდინავიის ქვეყნები. მთელ წელს დაჰყო იტალიაში. ფლორენციაში ყოფნის დროს მან გადასწყვიტა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ეთარგმნა ქართულ ენაზე, როგორც იტალიური ტექსტის, ისე ფრანგული, ინგლისური და გერმანული თარგმანების შემწეობით.

30-იან წლებში მან შეასრულა ამ პოემის თარგმანი.

1930-32 წლებში კ. გამსახურდიამ სთარგმნა გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“. ამავე წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი „დიონისოს ღიმილი“ და ნოველების წიგნი. ხსენებულ წიგნში მოთავსებული იყო ნოველა „პორცელანი“, რომელშიც დოქტორი გამსახურდია აყენებდა იმ თეორიას, თითქოს ხელოვნებას საერთო არაფერი აქვს პოლიტიკურ ცხოვრებასთან, რისთვისაც იგი თავის დროზე გააკრიტიკეს.

კონსტანტინე გამსახურდიას კალამს ეკუთვნის ვრცელი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელშიაც ასახულია ქართველი ხალხის ბრძოლა ბიზანტიელი და არაბი აგრესორების წინააღმდეგ.

ამ რომანის შემდეგ გამსახურდია აქვეყნებს ტეტრალოგიას „დავით აღმაშენებელი“. ოთხივე წიგნი ამ რომანისა აღემატება ათას გვერდს. „დიდოსტატის მარჯვენა“ ითარგმნა ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ, ოსურ, ლიტვურ და რუმინულ ენებზე, ამჟამად ითარგმნება ჩეხურ ენაზე.

ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელში“ მოცემულია ვრცელი პანორამა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა მუსლიმანი აგრესორების წინააღმდეგ.

ქართულ ენას ხანგრძლივი ისტორია აქვს.. პირველი რომანი ქართულ ენაზე დაიბეჭდა მეხუთე საუკუნეში; ამ დღიდან ეს ენა ვითარდებოდა დიდი სისწრაფით. ქართული ენის წინსვლის საქმეს დიდად შეუწყო ხელი კონსტანტინე გამსახურდიამ. იგი ენერგიულად დაეწაფა ქართული პროვინციული ეტიმოლოგიის მარაგს, შემოქმედებითად აითვისა იგი და ახალ ქართულში შემოიტანა ევროპულ ენათა საუკეთესო კვინტესენცია.

1944 წელს კონსტანტინე გამსახურდია არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

# ბაბუს დაბადების დღე

„ავადმყოფობათა სტრუქტურული საფუძვლები“, ვრცელი, 584 გვერდიანი ნაშრომი... ავადმყოფობათა სტრუქტურული საფუძვლების ცოდნა—შესანიშნავი იარაღია სტუდენტთათვის მედიცინის საიდუმლოებათა დაუფლების გზაზე, საუკეთესო იარაღია მედიკ-თეორეტიკოსებისა და მედიკ-პრაქტიკოსების ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. ეს შესანიშნავი ნაშრომი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს ვლადიმერ ყაფლანის-ძე ჟღენტს.

ამას გარდა, ვლ. ჟღენტმა წლების მანძილზე გამოაქვეყნა დიდად მნიშვნელოვანი წიგნები—„ზოგადი პათოლოგიური ანატომია“, „ინფექციურ სნეულებათა პათოლოგიური ანატომია“, „სპეციალური პათოლოგიური ანატომია“, „პათოლოგო-ანატომიური სექციის ტექნიკა“, „ავთვისებიანი სიმსივნეების შესახებ“ და მრავალი სხვა ნაშრომი, რომელთაც დიდად გაამდიდრეს და წინ წასწიეს საბჭოთა მედიცინა.

ღვაწლმოსილ მეცნიერს დაბადებიდან 78 წელი შეუსრულდა.

დაბადების დღე სახელოვან მეცნიერს ყველაზე ადრე შვილიშვილებმა მიულოცეს. პატარა ლადომ ყვავილები დახატა, მამუკამ დიდ ტილოზე წააწერა: „ბაბუ 78 წლისა შესრულდა, ვაშა!“ (ფოტო მარჯვნივ).

— საოცარია,—ჰყვება მხცოვანი მეცნიერი — ჩემი დაბადების დღეს ბავშვივით მოველი. ამ დღეს როგორღაც ჭაბუკური ხალისით ავივსები ხოლმე. ისეთი ღონე მომჭარბდება, მზადა ვარ მთები ავზიდო. მაშინვე მაგიდას მივუჯდები... სათქმელი კი იმდენი მაქვს... იმდენია ჯერ გასაკეთებელი.

დილაადრიან ეწვია აკად. ვლადიმერ ჟღენტს პროფესორი ვლადიმერ თოხაძე. ვისი დანახვა გაგახარებს ასე ძლიერ ასეთ დღეს, თუ თანატოლის არა?

— ჩემო ვლადიმერ, რომ შევაერთოდ ჩვენი წლები, ერთად 156 წლისანი ვართ. მოდი ვუსურვოთ ჩვენს თავს ცალკ-ცალკე შეგვსრულებოდეს ამდენი!

მათ საუბარში ხალისით ებმება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გურამ მაისაია (ფოტო მარჯვნივ, ქვემოთ).

დედას და ბებიას საგანგებო სუფრა გაუშლიათ იუბილარისა და მისი შვილიშვილებისათვის (ფოტო მარცხნივ).

ვუსურვოთ დღეგრძელობა და ახალი წარმატებანი სახელოვან ქართველ მეცნიერს!


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ოთარ თურქიასი.







ფერმის ეზოში

ფოტო ბონდო დადვაძისა.

ე. რაზუმოვსკი

# ჩვენი კაპიტანი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## როგორ გავხდი ზღვის მგელი

მრავალი წლის მანძილზე მე და ზღვა შორიშორს ვიდექით ერთმანეთისაგან: ამის გამო მაინცდამაინც ბედს როდი ვემდუროდით. არც ის იყო მოწყენილი უჩემოდ, არც მე. დროდადრო ზღვას ვნახულობდი კინოში: ეკრანზე ტალღები გრუხუნებდნენ, ყალყზე დგებოდნენ, ღრიალებდნენ: მე აღტაცებული ვიყავ მეზღვაურების სიმამაცით და სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ სწორი იყო ჩემი გადაწყვეტილება — არასოდეს მოვცილებოდი ხმელეთს.

ახლა კი ვწერ ამ სტრიქონებს და ჩემს თავზე მეღიმება; მე გულს მიკეთებს ფიქრი იმაზე, რომ ცხოვრებაში ჩემზე უფრო სულელებიც არიან. მე კი ახლა უკვე კარგად ვიცი, რომ ყოველ ადამიანში სთვლემს და თავისი საათის დადგომას ელის ზღვის მგელი. ადამიანები უსხედან საანგარიშოებს, რანდავენ სკამებსა და ტახტებს, მკურნალობენ ავადმყოფებს, მღერიან სცენაზე, ადიან კათედრებზე, წარმოსთქვამენ სიტყვებს და წარმოდგენაც არა აქვთ, რომ სულის სიღრმეში ისინი თავზეხელაღებული მეზღვაურები არიან და მხოლოდ გარემოებათა შემთხვევითმა მსვლელობამ არ გასტყორცნა ისინი მეცხრე ტალღის შესახვედრად.

მოხდა ისე, რომ ჟურნალისტის პროფესიამ საშუალება მომცა ახლო გავცნობოდი ზღვასაც და მეზღვაურებსაც. და ახლა მინდა დავწერო ნარკვევი მეზღვაურებზე, მეთევზეებზე: სანამ თხრობას დავიწყებდე, მინდა გაგაცნოთ: მოქმედების ადგილი — ოკეანე და საოკეანო თევზსაჭერ-სამაცივრო ტრალერი „გურია“, მონათხრობის მთავარი გმირი — კაპიტან-დირექტორი ჯემალ გოგუა. ესაა კეთილი, მხიარული ახალგაზრდა კაცი. მას შავგვრემანი, დასამახსოვრებელი სახე აქვს, თმა შავი, შუბლი მაღალი, თვალებიც შავი... კაპიტანი, როგორც მერე დავრწმუნდი, საკმაოდ მტკიცე ხასიათისა გახლავთ. იგი თავშეკავებული, სიტყვაძუნწი და ტაქტიანია. გულსაც უცებ როდი უხსნის კაცს, თავის ოცდაათი წლის ასაკში მას დიდი გამოცდილება შეუძენია.



## ჩვენ და გამცილებლები

მაშ ასე, ჩვენი ცურვა იწყება და იწყება ჩემი თხრობაც.

ლუზის აშვებას ოცდაორ აგვისტოს დილით ვაპირებდით, მაგრამ ჩვენს გასაცილებლად იმდენი ხალხი მოვიდა და გაცილება ისეთი მხიარული აღმოჩნდა, რომ მეორე დღეს გათენებამდე ფიქრადაც არ მოგვსვლია ნავსადგურიდან გასვლა.

ჩვენი გემი მოუთმენლად ელოდა გამგზავრებას და მთელი თავისი უზარმაზარი სხეულით თრთოდა. „გურიას“ ბაქნები და კაიუტები აივსო მამებითა და დედებით, სიდედრებითა და ცოლებით, პატარძლებითა და ბავშვებით.

— შვილებო, მიმიხედეთ ჩემს ბიჭს, — გვთხოვდა მოხუცი, ჭაღარა დედა. ბიჭი, დედაზე ორი თავით მაღალი და ზორბა ყმაწვილი, სახეწამოჭარხლებული იდგა. გულისხმიერი მეგობრები კი ყოველმხრიდან სთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს.

— ნუ გეშინია, დედი, მე სულ თვალი მეჭირება, რომ აუდუღარი წყალი არ დალიოს!

— ჭამის წინ უეჭველად დავაბანინებთ ხელებს!

— გოგლიმოგლს გავუკეთებთ დილდილაობით!

— ყურს ნუ უგდებთ ამათ, არასერიოზული ხალხია, — ეუბნება მოხუც დედას ჩვენი ბოცმანი, — მეთევზესათვის მთავარი გარეგნობაა. სიტყვას გაძლევთ, რომ თევზის დამუშავების დროს თქვენი შვილი გახამებულ პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილი იმუშავებს.

გვერდით კი, მთელს ქვეყანაზე მარტოდ დარჩენილნი ამ აყაყანებულ ხალხში, თავდავიწყებით კოცნიდნენ ერთმანეთს ახალდაქორწინებულნი.

— ყველა გამცილებელმა დატოვოს ხომალდი!

ყველა საჩქაროდ ემშვიდობება ერთმანეთს, ამ წუთს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვილაც გეთხოვებოდეს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა იცი ნაპირიდან ვილაც დაგიქნევს ხელს. ეს არც ლირიკაა და არც სენტიმენტალური გულაჩუყება. ეს უდიდესი სულიერი მოთხოვნილებაა.

ნავსადგურს აყრუებს საყვირის მოქვითინე ხმა. „გურია“ ნელ-ნელა სცილდება ნაპირს. ჩვენ კი ერთმანეთს გავყვირით რაღაც უაზრო სიტყვებს. და ჯერ ისე უბრალოდ, მერე კი ბინოკლით გასცქერიან მეთევზეები მშობლიურ ქალაქს, თავისიანებს, ცნობენ მათ და აღელვებულნი ნიავსღა ატანენ უკანასკნელ გამოსათხოვარს.

დიახ, ხომალდებს სულაც არ აცილებენ ისე, როგორც მატარებლებს...



## ფიქრები გემბანზე

ზღვის ცხოველებს შორის დელფინები ითვლებიან არისტოკრატული სულის მქონე ინტელიგენტურ ზედაფენად. მნახველთა ცნობით, ცალკეული, უფრო განათლებული დელფინები ლაპარაკობენ კიდეც: მოგთხოვენ პაპიროსს და გისურვებენ კარგად ყოფნას. ეს სრული ჭეშმარიტებაა, და ამაზე ალბათ ბევრი წაგიკითხავთ ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე. სულ მალე ჩვენ იმასაც წავიკითხავთ, რომ დელფინები ჭადრაკს თამაშობენ და ხსნიან სამუცნობიან განტოლებებს.

მაგრამ ის დელფინები, რომლებიც მოხდევდნენ დარდანელს მიახლოვებულ ჩვენს გემს, ცელქი ბიჭებივით იქცეოდნენ. ისინი ხტებოდნენ წყლიდან, გველრიჭებოდნენ, ისევ ეცემოდნენ ტალღებზე დგაფუნით და, რაც დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა მათში, ყვინთავდნენ ხომალდის ქვეშ, რათა ორიოდე წამის შემდეგ საწინააღმდეგო მხრიდან ამომხტარიყვნენ: ესენი, ეტყობოდათ თავქარიანი ყმაწვილები იყვნენ, რომლებიც სწავლისა და პატიოსანი შრომის ნაცვლად უსაქმოდ დაყიალებენ ზღვაში და ფეხებში ებლანდებიან გამვლელ-გამომვლელ ხომალდებს. ერთმა მათგანმა კუდი აიშვირა მაღლა და ისე თავხედურად დაგვიქნია, რომ აშკარა გახდა — ახალგაზრდა დელფინებს შორის სრულიად ჩაშლილია აღმზრდელობითი მუშაობა.

ამ სამწუხარო ამბით დანაღვლიანებულს კინაღამ გამომეპარა დარდანელი — უფრო სწორად, სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილი; საერთოდ, სრუტე მდინარესავით ვიწრო მეჩვენა. მისი დაბალი, დაკლაკნილი ნაპირები უკაცრიელი იყო, მარტო პატარა, თეთრი და წითელი შუქურები ამშვენებდნენ ამ ნაპირებს. კაპიტანი ხელსაწყოებით არკვევდა გასასვლელებს და თავისთვის მსჯელობდა:

— აქ მოსახვევია. ყოველი შეცდომა აქ მომაკვდინებელია. მარცხნივ ქვებია, იქ შენს ძვლებსაც კი ველარ იპოვნიან!

ბოლოს მესაჭეს გასძახა:

— რომელი კურსით მიდიხარ?

— ორასთოთხმეტით.

— მოუმატე სამი გრადუსი!

— არის! — უპასუხა მესაჭემ.

ქალაქ ჩანაკალესთან ყველაზე ვიწრო ყელია, თანაც ეს ადგილი მუხლივით მოხრილია. ხიდურზე დაძაბულობა იგრძნობა. წყალს გემი განზე მიაქვს, აგერ, ჩავუარეთ ნაპირზე აგებულ სახლებს — და „სივიწროვე“ უკან რჩება; ალბათ სწორედ აქ გადაცურა იგი კოჭლმა, მაგრამ მამაცმა ბაირონმა.

რამდენიმე ათასი წლის წინათ აქ განახორციელა თავისი რეკორდული ცურვა ბერძენმა ჭაბუკმა ჰერომ. ჯილდო, რომელიც მან მიიღო — ულამაზესი ქალიშვილის სიყვარული — იმდენად მომხიბლავი იყო, რომ მას შემდეგ ჭაბუკი ყოველღამე გადაცურავდა ხოლმე ამ სრუტეს: ესაა ერთადერთი შემთხვევა სპორტის ისტორიაში, როცა სპორტსმენს რეკორდის ყოველ გამეორებაზე, ანიჭებდნენ ერთსა და იმავე ჯილდოს. აღარ მახსოვს, დაცურავდა იგი თავის მიჯნურთან ღრმა მოხუცებულობამდე თუ უფრო მყარი საფუძველი მოუნახა თავის პაემანებს.

სხვათა შორის, დარდანელი, ანუ როგორც მას ძველი ბერძნები უწოდებდნენ, ჰელესპონტი ამ ვიწრო ადგილას კილომეტრნახევარსაც ვერ აღწევს სიგანეზე — ესაა მანძილი, რომელსაც გალინა პროზუმენშჩიკოვა, ჩვეულებრივი ვარჯიშის დროს, ცურვით ნახევარ საათში დაფარავს ხოლმე.

თუმცა... ბოდიში უნდა მოვიხადო და სიტყვა უკანვე წავიღო. ძველ ბერძნებს უეჭველად ჰქონდათ უფლება ეამაყნათ: კაცობრიობის ისტორიაში ხომ ვერცერთმა ხალხმა ვერ მისცა მსოფლიოს ამდენი გენიოსი ერთ სულ მოსახლეზე. ლიკურგოსი და პერიკლე, პითაგორე და სოფოკლე, ეზოპე და ესქილე, ფიდიასი და სოკრატე, პლატონი და არისტოტელე. ჰომეროსი? ბრმა ჰომეროსი! მოდი და ნუ დაუჯერებ ლეგენდას, რომ ფეხით დადიოდა სოფლიდან სოფლად და თითო თასი ღვინო, პურის ნატეხი და თხის ყველი იყო იმის სადილი. დიახ, მსუბუქი სადილია, მაგრამ მის ჰეკზამეტრებს აღარ იკითხავთ? „ადამის ძენი ჰგვანან ფოთლებს, ძირს ჩამოცვენილთ და ქარისგან შორს გატაცებულთ, მაგრამ დადგება გაზაფხული, შეიფოთლება მუხა



# პოლიო აბრამია

ცნობილ ქართველ პოეტს პოლიო აბრამიას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა ჯერ ისევ ოციანი წლების დასაწყისში; იმ დროიდან დაწყებული, პოეტი მთელი გატაცებით უმღერის ჩვენს სამშობლოს, ჩვენი ხალხის გმირულ შრომასა და ბრძოლას.

პოლიო აბრამია მრავალი წიგნის ავტორია; მათ შორის, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლექსების კრებულები: „თეთრი აფრები“ და „კოლხური კორდები“; გარდა ამისა, მას ეკუთვნის მრავალი ნარკვევი ჩვენს თანამედროვეებზე. პ. აბრამიამ ქართულ ენაზე თარგმნა ნ. ოსტროვსკის „ქარიშხალში შობილნი“, ვ. ვასილევსკაიას „ცისარტყელა“, ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ბ. პოლევოის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, ვ. აჟაევის „მოსკოვიდან დაშორებით“ და მრავალი სხვა.

დიდი სამამულო ომის წლებში პოლიო აბრამია მუშაობდა ფრონტული გაზეთების რედაქციებში; ამ გაზეთების ფურცლებზე მან არა ერთი ნარკვევი, მოთხრობა თუ ლექსი გამოაქვეყნა.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მწერალს დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი ჩვენი ხალხისა და ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

## კოლხი ვიყავი უტეხი

მე აქ ვესახლე, ოდითვე მედგა ფაცხა და ჯარგვალი,
მიწის ხვნასა და თესვაში ვიყავი მუდამ გართული,
მაღლიდან გადმომცქეროდა ფირუზისფერი ცარგვალი,
კიდით-კიდემდე ისმოდა ჩემი ლამაზი ქართული.
არ მირბევია არასდროს სხვისი სამშობლოს ტყე-ველი,
არასდროს მომიტაცია სხვა ხალხის ნაამაგარი,
არც პაპაჩემი ყოფილა მეზობლის სისხლისმთხეველი,
მხოლოდ სამშობლოს ვიცავდი, გულით და მკლავით მაგარით.
ვცხოვრობდი ასე ლომგულად, მტრებისაგან დაუპყრობელი,
მომხდურთან სისხლის წვიმებში ნაბრძოლი, ნაპარტახალი,
როცა ერთს დავაჩოქებდი, — გარბოდა მონათმფლობელი,
მის ნაცვლად შემოდიოდა, ზღვიდან მეკობრე ახალი;
არ მასვენებდა, მარბევდა ურიცხვი გადამთიელი,
რამდენჯერ შემომილეწეს პონტოის რკინის კარები,
მესხმოდა თურქი, სელჯუკი, გაქნილი ვენეციელი,
ბიზანტიელთა ლაშქარი, ვერაგი ხონთქრის ჯარები.

ჩემს მიწა-წყალზე მარბევდნენ, გადამითელეს სახლ-კარი,
აქვე, გორებად ეყარნენ დაჭრილი, დახოცილები...
ისმოდა გმინვა, ტირილი, ისმოდა გლოვა საზარი,
შორეულ ქვეყნის ბაზრებზე მიჰყავდათ ჩემი შვილები.
ზეცასვარსკვლავებს აქრობდა დედების მწარე კივილი,
იმ მიტაცებულ ქალ-ვაჟებს, დღესაც ვაებით მივსტირი.
გული გაგლეჯას აპირებს, არ ცხრება ძველი ტკივილი,
ჩემმა ცრემლებმა აქციეს ჭაობად მთელი ზღვისპირი.
მაინც ვცხოვრობდი ოდითვე, აქ მედგა ჩემი ჯარგვალი,
ლომგულად ვიდექ კოლხეთში, ჩავკეტე მისი კარები,
ცალ ხელში წიგნი მეჭირა, მეორე ხელში ფარ-ხმალი,
ვერას მაკლებდა ხონთქარი, მისი ველური ჯარები.
ასე ვესახლე, ოდითვე აქ მედგა ფაცხა მეგრული,
მტარვალთან ხმლების ჯახანით ვიყავი მუდამ გართული.
მე დასავლეთის კარიბჭის გუშაგი ვიყავ ერთგული,
კოლხი ვიყავი უტეხი, სისხლი მიდუღდა ქართული!..

---

ისევ მწვანე სამოსით“.. ახლა ასე აღარ წერენ. ეს მეტად გრძელი და მეტად გასაგებია ყველასათვის. ახლა წერენ მოკლე, მკვეთრ სტრიქონებს, და მერე ათობით კრიტიკოსი ხმის ჩახლეჩამდე კამათობენ იმაზე, თუ რის თქმა სურდა პოეტს თავისი პატარა, ბუნდოვანი ნაწარმოებით.

დემოსთენე — ორატორთა მამა? მან პირველმა აქცია უბრალო ადამიანური სიტყვა ყბედობიდან ხელოვნებად, და მისი ბრალი როდია, ათასი წლების შემდეგ მისი ესა თუ ის მოწაფე რომ პირიქით იქცევა.

მე შეგნებულად არაფერი ვთქვი ალექსანდრე მაკედონელზე. მთლიანად ვეთანხმები კარელ ჩაპეკს, რომელიც თვლიდა, რომ ადამიანი, ვისაც პირველად დაებადა ფიქრი მსოფლიო ბატონობაზე, არ იმსახურებს იმას, რომ კეთილი სიტყვით მოიხსენიონ. თქმა არ უნდა, ადამიანთა მასობრივი ჟლეტის ხელოვნება მან კარგად იცოდა, მაგრამ მისი თანამედროვეებისათვის ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ალექსანდრე მაკედონელი საუცხოვო სარდალი კი არა, უბრალო მეჭურჭლე იქნებოდა.

და კიდევ არაფერი მითქვამს ჰეროდოტეზე. მე იგი ბოლოსთვის შემოვინახე — ჩვენი გემის მარშრუტის შესაბამისად. როგორც ალბათ მიხვდით, „გურია“ ეგეოსის ზღვაში მიცურავდა.

კუნძულ ლესბოსს, რომელიც, როგორც თქმულებები გადმოგვცემენ, დასახლებული იყო მხიარული ყოფაქცევისათვის მატერიკიდან გადმოსახლებული ქალებით, ღამით ჩავუარეთ; დილით უკან მოვიტოვეთ კუნძული ქიოსი, დღისით კი დავინახეთ სამოსი. აი, ამ კუნძულ სამოსზე ცხოვრობდა გადასახლებული ჰეროდოტე, „ისტორიის მამა“, რომელმაც შთამომავლობას პირველი საზრიანი და სასიკეთო წიგნი დაუტოვა. არ მახსოვს, რისთვის გადმოასახლეს აქ იგი — ასეთი რამის მიზეზები ზოგჯერ გაუგებარია ხოლმე. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ჰეროდოტემ ისეთი არაფერი ჩაიდინა, რაც ხელს შეგვიშლიდა გულთბილად მივსალმებოდით მას.

მარცხენა ქიმიდან მოჩანდა მიწა — ვშორდებოდით მცირე აზიის უკანასკნელ კლდეებს. ეგეოსის ზღვა გადადიოდა ხმელთაშუა ზღვაში — ეს უკვე მეოთხე ზღვა გახლდათ ჩემს პირად ანგარიშზე. ზღვებს შორის საზღვრები მე ვერ შევამჩნიე — თევზები უვიზოდ მოგზაურობდნენ.



## ამერიკული ვერტმფრენი

„ხმელთაშუა ზღვის ჩირაღდნები“ — ასეთი პოეტური სათაური ჰქონდა წიგნს, რომელიც ჩვენს კაპიტანს გადაეშალა და შიგ ინტერესით ჩაიცქირებოდა. რომანი მეგონა. მაგრამ ეს წიგნი აღმოჩნდა შუქურების სქელტანიანი სია; ხმელთაშუა ზღვა, მომწყვდეული ევროპის, აზიისა და აფრიკის შუა, დაბლანდულია სახომალდო გზებით, ხოლო მისი ნაპირები და კუნძულები მოფენილია საშუქურე ჩირაღდნებით. თვითოეულ ჩირაღდანს აქვს თავისი ზომა, ციმციმის თავისებური რიტმი, თავისი ფერი და ყოველივე ამის ზუსტი გათვალისწინებაა საჭირო.

საბერძნეთი დამთავრდა მატაპანის კონცხზე ამართული შუქურით, კოცო-სპადაროს მთაზე აბელვრიალებული რვაწახნაგოვანი შუქურით დაიწყო სიცილია.

აქ ჩვენ გზა გადაგვიჭრა ამერიკულმა ავიამზიდმა. ჩვენ ვხედავთ, როგორ ფრინდებიან ერთიმეორის მიყოლებით მისი გემბანიდან თვითმფრინავები. წამიც და ჩვენს ზემოთ გამაყრუებელი ღმუილი გაისმის — რეაქტიულმა თვითმფრინავმა ზედ ჩვენი ანძების თავზე გადაიფრინა, მის ფრთებზე თეთრი ხუთქიმიანი ვარსკვლავია ლურჯ წრეში — ეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ემბლემაა. გამანადგურებელმა ერთიორჯერ დაარტყა წრე და ისევ ავიამზიდისკენ გაეშურა.

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ მას ცვლის წითელ-ყვითელი ვერტმფრენი, რომელზეც ისეთივე თეთრი ვარსკვლავია გამოხატული. იგი ჩვენს ზემოთ ჩამოეკიდა. კაბინის კარი ღია იყო. მასში კარგად ჩანდა თეთრ მუზარადსა და შავ კომბინიზონში გამოწყობილი ჯარისკაცი, რომელიც კინოაპარატს გვიმიზნებდა; სამიოდე წუთის შემდეგ ვერტმფრენმაც წრე შემოავლო ჰაერში და სანამ უკან გაბრუნდებოდა, იქიდან გადმოყუდებულმა ჯარისკაცმა ხელი დაგვიქნია: ნეტავ ეს რაღათ დასჭირდა? ვითომ მოგვესალმა? იქნებ უხერხულად იგრძნო თავი? რაც არ უნდა იყოს, ქუჩაშიც კი, სანამ უცხო ადამიანს სურათს გადაუღებ, ჯერ ნებართვა უნდა სთხოვო, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სხვისი ტერიტორიის თავზე ფრენა — ხომალდი კი ჩვენი, საბჭოთა ტერიტორიაა — ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონებს; მაგრამ დაზარალებულს მაინცდამაინც გულზე როდი მოეშვება, როცა თავხედი, თავის საქმეს რომ გააკეთებს, ნაზად დაუქნევს მას ხელს. ან იქნებ ამ ჯარისკაცს სურს როგორმე გამოყოს თავისი თავი იმათგან, ვინც მას ასეთ ბინძურ სამუშაოზე გზავნის? ასეა თუ ისე, ჩვენ ამ შემთხვევაშიც უკეთესად როდი ვგრძნობთ თავს: ვთქვათ, უბრძანეს ამ ვაჟბატონს — ესროლე; ის წამითაც არ შეყოყმანდება, იქნებ ამის შემდეგაც კვლავ ასე დაგვიქნიოს ხელი...

ბონის კლდოვანი კონცხის იქით გაიშალა აფრიკული ნაპირი — ტუნისი, ალჟირი, მაროკო — არაბული დასავლეთი, მაღრიბის ქვეყნები... მათ შემდეგ კი ოკეანე, ატლანტის ოკეანე, სადაც გველოდება თევზის ქარავნები, თავდადებული შრომა, ტროპიკული მზე და ოკეანის ფაფარაყრილი ზვირთები.

დასასრული შემდეგ ნომერში.



ბუდას ერთ-ერთი ტაძარი ბანკოკში.

# პური ჩვენი არსობისა

პური ჩვენი არსობისა — ამ გამოთქმას თავისი დიდი და ღრმა აზრი ჰქონდა და აქვს. პურს ყველა ქვეყანაში თავის გემოზე ამზადებდნენ და თავისებურადაც აცხობდნენ; პურის ცხობის ტექნოლოგიაში ქართულ თონეს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ქართული თონე ისევე ძველია, როგორც ქვევრი, როგორც ჯამი თუ ქოთანი, და იგი მტკიცედ არის დაკავშირებული ხალხის ყოფასთან, მის კულტურასთან. ელემენტარული ამბავია, რომ ცივილიზაციის ისტორია, ცეცხლთან ერთად, იწყება თონით, ცელით, ნამგლით, ქვევრით და ა. შ.

მაგრამ დავანებოთ თავი შორეულ წარსულს; ქართული თონის პური დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს იმიტომ, რომ მან შეინარჩუნა თავისი ფერი, სუნი, გემო, ფორმა, თავისი სახელი — შოთიპური. ქართული თონის პური, თავისი საგემოვნო თვისებებით, შეხმატკბილებულია ყოველ კერძთან და განსაკუთრებით შეუცვლელია ქართული კერძებისათვის (საცივი, ჩახოხბილი, ხარშო, ჩიხირთმა, ხაში, ლობიო, მწვადი, მხალეული და საწებლიანი საჭმელები); ამ კერძებს ქართული თონის პური თავის გემოს და ლაზათს უნარჩუნებს და მატებს.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ დღევანდელმა ვითარებამ შეუძლებელი გახადა ტრადიციული ტექნოლოგიის გამოყენება — ხელით მოზელა და ჩაკვრა, ვინაიდან მილიონიან ქალაქს ხელით ჩაკრული პური არ გასწვდება. არა და, მოთხოვნილება ქართულ პურზე სულ უფრო და უფრო იზრდება, ეს ასეა არა მარტო თბილისსა და საერთოდ მთელ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მიმდინარე წლის 17-24 ივნისს, ტაილანდის დედაქალაქ ბანკოკში მიმდინარეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური კომისიის მე-9 სესია. ეს სესია მიეძღვნა აღნიშნულ რეგიონში წვრილი და კუსტარული მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

სესიის გახსნის დღეს საბჭოთა დელეგაციამ გაავრცელა ორი მოხსენება, რომლებიც ეხებოდნენ საბჭოთა კავშირში წვრილი და კუსტარული მრეწველობის განვითარების საკითხებს. გარდა ამისა, გავრცელებულ იქნა ინჟ. გამსახურდიას კონსტრუქციის ქართული პურის მექანიზირებული საცხობის აღწერილობა. ამ ღუმელმა, რომელიც პირველად საქართველოში შეიქმნა ამ რამდენიმე წლის წინათ და რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მთლიანად მექანიზებული ყოფილიყო ქართული პურის ცხობის მძიმე და შრომატევადი პროცესი, უკვე მიიპყრო აზიის მთელი რიგი ქვეყნების ყურადღება.

ცნობილია, რომ აზიის ბევრ ქვეყანაში აცხობენ ქართული ტიპის მაგვარ თხელ პურს, მაგრამ მათი ცხობა წარმოებს მეტად პრიმიტიულად. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც იჩენენ ეს ქვეყნები ზემოხსენებული მექანიზირებული ღუმელის მიმართ.

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტრო დიდ მუშაობას ეწევა ინჟ. გამსახურდიას კონსტრუქციის ღუმელის უცხოეთში პოპულარიზაციისა და დანერგვისათვის. უკვე დადებულია კონტრაქტი ორი ასეთი საცხობის ასაშენებლად პაკისტანში, წარმოებს მოლაპარაკება ირანთან და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს გაგვეცნო ეს ღუმელი ტაილანდის სესიის მონაწილეთათვის. მით უმეტეს, რომ იგი პასუხობდა სესიის პროგრამას, რომელშიც ერთ-ერთი პუნქტი ეთმობოდა წვრილ და კუსტარულ მრეწველობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვას.

სხვა მასალებთან ერთად, ჩვენ წაღებული გვქონდა მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც მიძღვნილია ამ თემისადმი და გადაღებულია საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს შეკვეთით.

სესიაზე ღუმელმა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

**რობერტ გერგაია,**
საგარეო ვაჭრობის აკადემიის დიპლომანტი.



სესიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი საბჭოთა დელეგაციის წევრებთან ერთად.

**ლადო ხვედურელი**

## ცრუ მონადირე

ზარმაცმა კაცმა იტკინა
როცა გვერდები წოლითა,
თოფი აიღო, იფიქრა
თავს შევიქცევო სროლითა.
აიღო ტყვიის კარტეჩი,
თქვა: ჯიბეებში მეყაროს,
რა ვიცი, იქნებ შემთხვევით,
ვეფხვიც კი გადამეყაროს.
ღვინით აავსო ხელადა,
მომართა თავის ვილისი,
გაიჭრა მინდორ-ველადა
და შორს დატოვა თბილისი.
აღარ გაუშვა მავთულზე
მჯდომი ლაღო და ბზეწვია,
ჩიტებს რომ მუსრი გაავლო,
ჩუმათ ნაკრძალსაც ეწვია.
ხედავს, რომ შველი თავის ნუკრს
ეხვევა, წამლად ედება,
აბა ისინი სათოფედ
რომელ კაცს გაემეტება!
თოფი შემართა ენვერმა
და დაუმიზნა სამსხვერპლოს,
თოფსა და იმის ნატყვიარს,
ხმა ჰქონდა, როგორც სამრეკლოს.
ნანადირევთან მიიჭრა,
უნდოდა სწრაფათ აეკრა,
მაგრამ რაც ნახა, მის შემდეგ
აღარ იცოდა რა ექნა.
ქანდაკებისთვის ესროლნა
გადაეხეთქა შუაზე,
ენა დაება. შიშისგან
კინაღამ შესცდა ჭკუაზე.



# მამის სანახავად

ეროვნული

შორ გზებზე წასვლით, მოგზაურობით ახლა ველარავის გააკვირვებ... ხანდახან იფიქრებ — მთელი ქვეყანა დაძრულა, ყველას ტურისტის ჩანთა აუკიდნია და ჯერ უნახავი ადგილების გასაცნობად წასულაო.

მაგრამ ეს დედა და შვილი, ვერა ბუაჩიძე და მანანა ხვინგია ლიტვაში საქართველოდან სამოგზაუროდ არ არიან ჩამოსულები.

ისინი ყველაზე საყვარელი ადამიანის საფლავს, ერთი —- მეუღლისა, მეორე — მამის საფლავს ეძებს.

დიდხანს ემზადებოდნენ აქეთ წამოსასვლელად. შინ, თბილისში, თავიანთი ოთახის კედელზე ლიტვის რესპუბლიკის რუკა ჰქონდათ გაკრული. იქვე ეწყო ათასნაირი ცნობარები და გზის მაჩვენებლები. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 25-ე ტომი ხომ იყო და იყო გადაშლილი საწერ მაგიდაზე.

რატომ ეცნობოდნენ ლიტვას ასე გულდადებით? საქმე ის იყო, რომ ინჟინერი იესე ალექსანდრეს-ძე ხვინგია თავის უკანასკნელ წერილს 1944 წლის ოც ივლისს სწორედ ლიტვიდან იწერებოდა.

„ამ წერილს გწერ ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მიზეზი ეს არის, დიდი მგზავრობა და ბრძოლა შეგვხვდა და ცოტა დამიგვიანდა. ვარ კარგად, ვათავისუფლებთ ფაშისტებისაგან ლიტვას. ვარ კარგად და ჯანმრთელად... წერილს ნაჩქარევად გწერ, დაწვრილებით შემდეგ მოგწერ...“.

და აღარ მოსულა შემდეგ დაწვრილებითი წერილი. დიდხანს უვლიდა ფოსტალიონი გვერდს ალექსანდრე ხვინგიას ჭიშკარს სოფელ შემოქმედში; აღარც თბილისში, ლენინგრადის ქუჩაზე მოდიოდა სამკუთხა ბარათები მისი მეუღლის ვერა ბუაჩიძის სახელზე. მაგრამ ეს ის დრო იყო, როცა ჩვენები წინ მიიწევდნენ, წარმატებით ათავისუფლებდნენ საბჭოთა ქალაქებს და სოფლებს და ზურგში დარჩენილ ადამიანებს ეჩვენებოდათ, რომ ახლა მსხვერპლიც ნაკლები იყო და შეიძლება არც არავინ იღუპებოდა...

მაგრამ მოვიდა ყველა წერილზე საშინელი წერილი, ყველა ქაღალდზე უფრო შავი ქაღალდი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ლეიტენანტი იესე ხვინგია დაიღუპა 1944 წლის 25 ივლისს, ლიტვის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. დასაფლავებულია უკმერგეს ოლქის სოფელ ვეპრიაიში.

მაინც ძნელი იყო დაჯერება იმისა, რაც თვალით არ ენახათ შინაურებს. წერილებს უგზავნიდნენ პოლკში მის ამხანაგებს. მოდიოდა პასუხი. პასუხი თანაგრძნობისა მეუღლის სახელზე. მშობლებმა არაფერი არ იცოდნენ. დრო კი მიდიოდა იმის ფიქრში, როგორ ჩასულიყვნენ მოხუცებთან. ან რა ეთქვათ! ეგებ სჯობდა სულ არ დანახვებოდნენ ჯერჯერობით, ასეც გადაწყვიტეს. წერილი წერილზე მოდიოდა შემოქმედიდან: „ბიჭის წერილები არ ჩანს, თქვენ სადღა დაიკარგენით. ბავშვი მაინც რატომ არ მოგყავთ“. ათასი მიზეზის მოგონება: ავადმყოფობა, სამსახური, კვლავ შეუძლოთ ყოფნა და მეორე ზაფხულამდე არ ჩასულან რძალი და შვილიშვილი ბებიასა და ბაბუასთან.

ქალ-ვაჟის მამა იყო ალექსანდრე ხვინგია. ქალი სამეგრელოში იყო გათხოვილი და ამ ერთადერთ ვაჟიშვილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის IV კურსიდან გადავიდა იესე ხვინგია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გაიცნო პირველკურსელი ახალგაზრდა ქალიშვილი და არც აცია, არც აცხელა, იმავე წელს, პრაქტიკაზე წასვლის დროს ცოლად შეირთო კიდეც. ეჩქარებოდა ყველაფერი, თითქოს ასწრებდა ცხოვრებას.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იესე ერთხანს თბილისის სანაპიროს მშენებლობაზე მუშაობდა. ინჟ. ალექსანდრე ჩიტაიშვილი იყო მისი პირველი მასწავლებელი. შემდეგ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ მოითხოვა სპეციალისტები, იესე მარნეულის წყალთა სასისტემო სამმართველოს მთავარი ინჟინერის ადგილზე გაგზავნეს, ამის შემდეგ სამ წელიწადნახევარი იმუშავა მახარაძის წყალთა სამმართველოში და ერთი დასვენების დღეც არ ყოფილა, მოხუც მშობლებისათვის არ ამოეხედოს.

გულკეთილი კაცი იყო იესე, ცა და ქვეყანა მას ეცოდებოდა. მასთან სიტყვა „საწყალს“ რომ იტყოდი, იქვე აუწყლიანდებოდა თვალები. მოფერება უყვარდა, საქმის მოფერებით გაკეთება. მინდობა იცოდა. უჯრა რა არის, კაბინეტში უჯრას არ დაკეტავდა: „თუ ჩემგან თანამშრომელი ჩუმად რამეს აილებს, ეს ჩემი ბრალი იქნებაო.“

ერთ საღამოს სახლში ნასვამი დაბრუნდა (მაშინ ნასვამი 3-4 ჭიქა ღვინო დალეულ კაცს ერქვა და არა ისე, ახლა რომ არის). შინაურებმა ჩექმები გახადეს და ხალათის გახდაში უშველეს. პერანგი არ ეცვა კაცს. დედამისმა ცივი ხმით იკივლა — ბიჭი გაუძარცვავთო. რძალმა დამშვიდება დაუწყო: — დედა, ნუ ღელავ, ვინმეს მისცემდაო. იესეს ჩაეცინა მხოლოდ, თქმით კი არაფერი უთქვამს. დილით ცოლს ეკითხებოდა — მითხარი როგორ მიხვდი, რომ სხვას მივცემდიო. ამას რა ცოდნა უნდოდა. აბაზს რომ ითხოვდა კაცი, ჯიბეებს ამოიბრუნებდა და რასაც იპოვიდა, სულ მისცემდა, კაპიკს არ ჩაიტოვებდა შიგ. იმ დღეს კი, მდ. ნატანების ნაპირის გასამაგრებლად გაბიონის წყობას აკეთებდნენ და მუშას ხელი მოჰყოლოდა ქვებ ქვეშ. შესახვევი სხვა რომ ვერაფერი ეშოვნა, პერანგი გაეხადა, დაეხია და შეეჩერებინა სისხლის დენა.

სახლში ხუმრობაც უყვარდა, ყველაზე ხშირად დედას ეხუმრებოდა ხოლმე, ცოლის კი რატომღაც ერიდებოდა. მშობლების თანდასწრებით არც ხუმრობას გაუბედავდა. ის თითქმის მოტაცებული ჰყავდა, ოჯახის უკითხავად წამოყვანილი პრაქტიკიდან და ხშირად, დედა როცა ეტყოდა: — „სახლში რომ შემოხვალ, პირველად ამ ბავშვს უნდა გაუცინო, სხვისი შვილია, ცოდოაო“, — მაშინ გაეღიმებოდა. დედობისათვის გამზადებულ ახალგაზრდა ქალს ხუჭუჭა თმებში ხელს ჩასტაცებდა, თავისკენ მიიზიდავდა, თვალებში ჩახედავდა და ეტყოდა: „მართალს ამბობს დედა, სულ მუხლებზე უზიხარ, მაგრამ მაინც არ გეყოფა მისი მოფერება!“ მართლაც, საოცრად ტკბილი მოფერება იცოდა დედამთილმა, პატარასავით მუხლებზე ისვამდა ახალგაზრდა რძალს, გულით უყვარდა ერთადერთი ვაჟიშვილის ცოლი.

დასვენების დღე იყო, იმ დასაქცევი ომის ამბავი რომ მოიტანა დილა უთენია ისიდორე ფოსტალიონმა. თვეში ფეხჩადგმული ცოლი ჰყავდა, სახლი ფიცარ-ფიცარ ეწყო მიწაზე და... ომი კარზე იყო მომდგარი.

სახლშიც აღარ შემობრუნებულა, აივანზე საუზმისათვის რომ იჯდა მაგიდასთან, ისე ადგა და წავიდა.

წელიწადზე მეტ ხანს შავი ზღვის სანაპიროზე იმყოფებოდა. 1943 წლის ბოლოს უკვე სმოლენსკთან იყო. იმ ხანებში ჩაება ბრძოლაში. სმოლენსკიდან მოყოლებული, ვინ მოსთვლის რამდენი ქალაქი და დაბა გაანთავისუფლეს. 14 ივლისს ვილნიუსში ააფრიალეს წითელი დროშა და როცა დასავლეთისაკენ გასწიეს, პატარა სოფელ — ვეპრიაის მისადგომებთან უწია მტრის ტყვიამ. მაშინ იესე ხვინგია ოცდაათი წლის ჭაბუკი იყო.

ვერ უმხელდა რძალი უბედურ დედ-მამას ერთადერთი ვაჟის დაღუპვის ამბავს. იცოცხლონ მოხუცებმა, ამით ვის რა დაუშავდებაო, — ფიქრობდა ის.

დამთავრდა ომი, ატყდნენ მოხუცები, რატომ შეკითხვას არ ჰგზავნი მოსკოვში, ეგებ ბიჭი სად არის ჩარჩენილი, პარტიზანებთან იქნებაო, — იწერებოდა ალექსანდრე ხვინგია სოფლიდან. რა შეკითხვა უნდა გაეგზავნა რძალს. მან ყველაფერი იცოდა. მამამ ახლა ქალიშვილი აიკლო საყვედურებით: — აღარც შენ გენაღვლება ძმა, თორემ ერთი შეკითხვა რა გახდაო.

მართლაც გაეგზავნა შეკითხვა მასწავლებელ თამარ ხვინგიას ხეთიდან მოსკოვს და პასუხიც მიეღო. ჩამოვიდა თბილისში ტირილით, რძალს უსაყვედურა — თუ იცოდი, რატომ არ გვითხარიო. ახალი ცნობა რომ წაიკითხა, რძალს პირკატა ეცა: დასაფლავების ადგილად აქ სოფელი სუკინიე ეწერა. „იქნებ ყველაფერი ტყუილია, ხან რას წერენ და ხან რას,“ — გაიფიქრა მეუღლემ.

ამის შემდეგ დიდხანს, დიდხანს იცოცხლეს მოხუცებულებმა. მამა ალექსანდრე ხვინგია, ძველი რევოლუციონერი, ნასაკირალის აჯანყების მონაწილე და გურიის ერთობას პირველი კაცი 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ამ ხუთი წლის წინათ.

დედა მასზე უმცროსი იყო და ისიც 82 წლის ასაკში გარდაიცვალა 1967 წელს; „შვილო ესიკას“ ძახილში ამოხდა სული. ხმამაღლა ტირილს რომ ვერ ბედავდა, ყანაში ან ბოსტანში გადავიდოდა და იქ ხესა და ბალახს შესტიროდა: „შვილი მყავს გაბნეული და მიშველეთო“.

ამიტომ იყო, რომ მეუღლე და ქალიშვილი საყვარელი ქმრისა და მამის საფლავს მხოლოდ ოცდასამი წლის შემდეგ ეძებდნენ ლიტვაში.

ბალტიისპირეთი წინათ იყო შორს, თორემ ახლა მანძილის გრძნობა თითქმის უკვე დაკარგული აქვს ადამიანს.

დილით რომ თბილისიდან გაფრინდნენ, დღის ოთხ საათზე ვილნიუსში იყვნენ.

დიდი ქალაქი არ არის ვილნიუსი, მაგრამ მეტად სუფთა და ფაქიზია. სტუმარ-მასპინძლობა კი ჩვენსავით კარგი სცოდნიათ. ტაქსის შოფერმა მანამ ატარა უცხო ქალები, სანამ სასტუმროში არ დააბინავა. ისე კი, სასტუმროები იქაც ისე ჭირს, როგორც თბილისსა და მოსკოვში.

ვილნიუსში რესპუბლიკის სამხედრო კომისარი ვ. კუდრინი მეტად გულისხმიერად შეხვდა ჩამოსულებს. როცა მას უთხრეს, რომ დასაფლავების ორი ადგილი გვაქვს მითითებულიო, ცოტა დაფიქრდა, მაგრამ ქალები დაარწმუნა, უკმერგელი ამხანაგები ყველაფერს გაარკვევენო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სუკინიე და ვეპრიაი მომიჯნავე სოფლები აღმოჩნდნენ. მათ შუაზე პატარა მდინარე ჰყოფთ. პატარა მდინარე, მაგრამ კალაპოტი ციცაბო აქვს. სუკინიეს მხრიდან მოსდგომიან საბჭოთა არმიის გვარდიული ნაწილები სოფელ ვეპრიაის ასაღებად, გერმანელებს უკან დაუხევიათ, გადაუყვანიათ ტანკები და ხიდი აუფეთქებიათ.

ხწორედ ამ პატარა მდინარის გადასასვლელზე დაიღუპა ინჟინერი იესე ხვინგია. ხიდი აფეთქებული და დამწვარი იყო. ხიდის გარეშე ტანკებისა და სხვა ტექნიკის გადაყვანა არ მოხერხდებოდა. მეტად ღრმა ხევი აქვს ამ შედარებით პატარა მდინარეს. აქ უნდა გამოსდგომოდა ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა იესე ხვინგიას. გამოადგა კიდეც: ორ დღე-ღამეში აუგიათ ხიდი, უკანასკნელად შეუმოწმებიათ და ყველას კვლავ სანგრებისათვის მიუშურებია.

იესე ხვინგიას დაჯილდოების ფურცელში ვკითხულობთ: „გაბედულად და გადამწყვეტად მოქმედებდა ბრძოლაში სოფ. ვეპრიაის ასაღებად 1944 წლის 23 ივლისს გვარდიის ლეიტენანტის იესე ხვინგიას ასეული. ის მტრის გრიგალისებურ ცეცხლს ქვეშ პირველი ამოხტა სანგრიდან, გადავიდა შეტევაზე, თან ცეცხლს ისროდა გზა და გზა, სწრაფად მიუახლოვდა მტრის თავდაცვის ხაზს და სანგრებში გამართა ბრძოლა, მტერი სასტიკად იცავდა დაპყრობილ ზღუდეს, მაგრამ გვარდიელების შეტევას ვერ გაუძლო და ფაცაფუცით დაიხია უკან. ამის შემდეგ სამჯერ ზედიზედ განმეორდა ტანკებითა და თვითმავალი არტილერიით გამაგრებული მტრის გააფთრებული კონტრშეტევა.

მტრის ყველა ცდა უკან დაებრუნებია დაპყრობილი ზღუდე — უშედეგო აღმოჩნდა. ერთ ნაბიჯზე არ დაუხევიათ ლეიტენანტ ხვინგიას მებრძოლებს. ამ ბრძოლაში დაიღუპა ხვინგია, დაეცა მამაცთა სიკვდილით“.

იმავე წლის 17 აგვისტოს, სიკვდილის შემდეგ, თითქოს განგებო, მისი ერთადერთი ქალიშვილის, მანანას დაბადების დღეს, იესე ხვინგია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

* * *

სოფელი ვეპრიაი ტბის ნაპირზეა გაშენებული. ტბის გაგრძელებაზე მოკირწყლული ბილიკი გარს უვლის ნაძვებით, ნეკერჩხლებითა და მტირალა ტირიფებით შემორგულ ბაღს. აქ არის ძმათა სასაფლაო. ბაღის სიღრმეში საბჭოთა ჯარისკაცის ქანდაკებაა აღმართული.

150 ჯარისკაცი და მეთაურია ვეპრიაის სასაფლაზე დამარხული. მათ შორის მხოლოდ 38 ცალკე სამარე. შესასვლელის მარჯვენა [illegible] დგას მარმარილოს ფილა, რომელზედაც [illegible] ვიას გვარი აწერია.

საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს [illegible] გოგონები და ბიჭები შეეგებნენ თაიგულებით ხელში. მათი ბედნიერებისათვის თავის განწირვა ღირდა ნამდვილად.

ქალაქ უკმერგესთან ახლოს არის კიდევ ერთი ძმათა სასაფლაო, რომელსაც პელშაის სასაფლაოს ეძახიან. აქ ერთი გვარი ნამდვილად ქართულია, მაგრამ დამახინჯებულად უნდა იყოს წარწერილი. გაკრიალებულ ბეტონის ბალიშზე ამოიკითხავთ: „გოლელიშვილი პეან. გორ. 1944 წ.“, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსულ ენაში პ და ლ ადვილად შეიძლება აირიოს ერთმანეთში, სახელი ალბათ ასო „ლ“-ით უნდა იწყებოდეს, „გოლელიშვილიც“ შეიძლება გორელიშვილია. განა ამხელა ომმა მარტო სახელები და გვარები არია ერთმანეთში?!

საფლავები საგანგებოდ სუფთად და სათუთად არის მოვლილი და შენახული.

თინა ჩიგოგიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიქს დერეცკი

# ნაკრძალი

სცენა

**(ტყის შრიალი, ფრინველთა გალობა, ტოტების მტვრევის ხმა).**

**ტურისტი** — ეს არის ნადირთა ცნობილი სამეფო? რამდენი რამ მსმენია მასზე!

**მეტყევე** — დიახ, ჩემო ბატონო, ეს გახლავთ, ჩვენ აქ ცხოველებს პირდაპირ იდეალური პირობები შევუქმენით!

**ტურისტი** — გასაგებია. ეს ხომ ნაკრძალია!

**მეტყევე** — თანაც როგორი ნაკრძალი! ნამდვილი სანატორიუმია. ნადირებს ზამთრობით დამატებით საკვებს ვაძლევთ. მათი ისე უბრალოდ შეშინებაც კი აკრძალულია. თორემ ნადირობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

**(ისმის გასროლის ხმა)**

**ტურისტი** — მაშ ეს რა არის?

**მეტყევე** — ეს მოგეჩვენათ.

**ტურისტი** — როგორ გეკადრებათ! აშკარად გავიგონე, რომ ვიღაცამ გაისროლა.

**მეტყევე** — [illegible] რა, საერთოდ... იცით, ჩვენს შორის დარჩეს... აი, როგორ გითხრათ, ვარშავიდან ინსპექტორი ჩამოვიდა და თოფს ისვრის, ისე, გასართობად.

**ტურისტი** — როგორ! ნადირობს?

**მეტყევე** — აბა სულელი კი არ არის, რომ ჰაერში ისროდეს. ჩვენები ხათრს ვერ უტეხავენ. რაც არ უნდა იყოს, ინსპექტორია, პრემიებს ანაწილებს. ჯილდოებზე მაგან უნდა წარადგინოს ხალხი. ორ ირემს გააგორებს და ჰაიდა, სახლისაკენ! — ასეთია მისი ნორმა.

**(ისმის გასროლის ხმა)**

**ტურისტი** — ეს ვინღაა?

**მეტყევე** — ეს?.. სავოევოდოს უფროსია... მარტო კურდღლებზე ნადირობს.

**ტურისტი** — მაგრამ ახლა, მგონი, ნადირობა აკრძალულია.

**მეტყევე** — ეეე... არ გითხარით, უფროსია-მეთქი.

**(ისმის გასროლის ხმა)**

**ტურისტი** — კიდევ არის ვინმე?

**მეტყევე** — ეს ჩვენი ბიჭია მაზრიდან. ჩამოდის ხოლმე დროდადრო შესამოწმებლად, ნადირის მოვლა-პატრონობის საქმე როგორ არის დაყენებული. ჰოდა, რა თქმა უნდა, უყვარს ხოლმე ორლულიანით ნაკრძალში გავლა.

**(ისმის გასროლის ხმა)**

**ტურისტი** — ეს ვინღაა?

**მეტყევე** — ერთი წუთით, ერთი წუთით, მე ცოტა დავიბენი. მარცხნივ — ინსპექტორია, მარჯვნივ — უფროსი, უკან — აი, ის, მაზრიდან რომ არის. ხოლო მეოთხე... ხალხო! გვიშველეთ! ნაკრძალში ბრაკონიერი შემოსულა.

თარგმანი პოლონურიდან
ა. იაშვილისა.

# გაძევებული

იუმორესკა

ტრესტის მმართველმა სამუშაო ოთახებს ჩამოუარა და თანამშრომლები დაათვალიერა. ერთ მაგიდასთან ახალგაზრდა კაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა.

მმართველი აღელდა, მიიჭრა მასთან და მკაცრად ჰკითხა:

— რამდენი გაქვთ ხელფასი, ყმაწვილო?

ახალგაზრდამ გაკვირვებით შეხედა და მშვიდად მიუგო:

— ასთხუთმეტი მანეთი.

მმართველმა საფულე გახსნა.

— აჰა, ეგ ფული და ჩემმა თვალებმა აქ აღარ დაგინახოს!

კიდევ უფრო მეტად გაოცებულმა ახალგაზრდამ ფული გამოართვა და იქაურობას მოსცილდა.

შემდეგ მმართველი მთავარ ბუხჰალტერს მიუბრუნდა და უსაყვედურა:

— ნეტავ როგორ ითმენთ ასეთ უსაქმურებს. მთელ დროს უქმად ჰკარგავენ, ტრესტს აზარალებენ და ხელფასს კი იღებენ. მე რომ შემოვედი, მაშინაც კი არ გააგდო გაზეთი ხელიდან. მასეთი თავხედი თანამშრომელი მე არ მინდა

— მერე, ეგ ხომ ჩვენი თანამშრომელი არ არის, — მიუგო ბუხჰალტერმა — დაკვეთის ანგარიში გაასწორა და ქვითარს უცდიდა.

ლ. ხუნდაძე

გადმოკეთებულია

# ბულგარული იუმორი

— დღეს დრო გაქვს?
— დიახ.
— ხვალ შუადღით?
— დიახ.
— ზეგ საღამოს?
— არა, რატომ კითხულობ?
— მინდოდა ზეგ ვახშამზე დამეპატიჟე.

* * *

— ნიკოლა, ჩემი უკანასკნელი წერილი მიიღე?
— ის, რომლითაც ასი ლევი გინდოდა გესესხა ჩემგან?
— [illegible].
— [illegible]რ მამიღია.

თარგმნა ლილი გოგერცმა.

# ერეკლეს ქვევრი



საქართველოს სახელოვანი მეფე ერეკლე, გადახდილი ბრძოლების შემდეგ, ხანდახან სანადიროდ მიდიოდა ხოლმე.

ასე იყო შემოდგომის იმ მცხუნვარე დღესაც. ერეკლეს, თავისი ამალით, სოფელ ტოლნიანის მიდამოებში ენადირნა და უკან, თელავის სასახლეში გამობრუნებული, ამ სოფლის გზაზე მოდიოდა.

ჯერ თურმე გოგო-ბიჭებმა დაინახეს, სოფლის განაპირას რომ თამაშობდნენ; მაშინვე იცნეს, გამოიქცნენ და მთელ სოფელს ახარეს — მეფე ერეკლე მოდისო. სოფელში ისეთი სამხიარულო ჟრიამული დადგა, გეგონებოდათ ცა გაიხსნაო. მეზობელმა მეზობელს გადასძახა ღობიდან, ვინც მინდორში იყო, მიატოვა საქმე და მეფესთან შესაგებებლად გამოიქცა.

ამასობაში ქურანა ცხენზე მჯდომმა ერეკლე მეფემ, თავისი ამალით, სოფელში შემოაღწია.

— იდღეგრძელე, ჩვენო მეფევ, ჩვენო მწყალობელო!

— ვაშაა! ჩვენს ერეკლეს გაუმარჯოს! — ისმოდა ხალხის აღტაცებული ხმები. მოხუცი თუ ბავშვი, ქალი თუ კაცი, მეფესთან ახლო მისვლას ცდილობდა. ერეკლე ყველას გულთბილად ესალმებოდა.

ერეკლემ ამ ზღვა ხალხში უცებ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი.

— ბიჭო ნიკავ, შენ აქაური ხარ? — დაიძახა ერეკლემ. თავისი ჯარისკაცი იცნო კახთბატონმა.

...ეს იყო ოცი წლის წინ. მას მერე ცოტა შებერებულა ნიკა ამირანაშვილი, მაგრამ ისევ მხნედ არის. მაშინ კი ჭაბუკი იყო. ცხარე ბრძოლაში გართულ ერეკლეს ზურგიდან ერთი დევის ალნაგობის ოსმალო წამოეპარა, ნიკამ დაინახა და ფარად აეფარა თავის სათაყვანო სარდალს. ნიკა რომ არა, ვინ იცის რით დამთავრდებოდა ის ბრძოლა.

თვალწინ დაუდგა ერეკლეს ეს სურათი, ცხენიდან ჩამოხდა და მოახლოებულ ამირანაშვილს გულმხურვალედ შეეგება. მეფის ამალაც ერთბაშად ჩამოქვეითდა.

ნიკამ მეფის წინ დაიჩოქა და მის კალთას ემთხვია.

— ჩემო ნიკავ, ძალიან მესიამოვნა შენი დანახვა! — წარმოთქვა ერეკლემ, მხრებზე ორივ ხელი მოავლო, წამოაყენა და გადაეხვია.

— მეც მენატრებოდა თქვენთან შეხვედრა, ბატონო მეფევ!

ხალხში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— დიდო მეფეო! — დაარღვია დუმილი ამირანაშვილმა, — დაღლილი იქნებით, გთხოვთ დამდოთ დიდი პატივი და თქვენი ამალით ჩემთან შემობრძანდეთ. შეისვენეთ, ცოტა შენაყრდით და შემდეგ გზა განაგრძეთ.

— მადლობელი ვარ, ჩემო ნიკავ, მაგრამ ამდენი ხალხით როგორ გეწვიო? რომ ძლიერ დაგაზარალებთ?

— არა უშავსრა, ბატონო მეფევ! ხუთსაპალნიანი ქვევრი სავსე მაქვს და ნუთუ არ გვეყოფა?

ამირანაშვილის შემდეგ ორ-სამმა ხანდაზმულმა გლეხმაც მეფეს გულითადად გაუმეორეს თხოვნა.

— რა გაეწყობა, მოვდივართ. ოღონდ ნანადირევი ჩვენი იყოს და ღვინო თქვენი! — ხალისიანად დასძინა სახეგაბრწყინებულმა ერეკლემ და მოკლულ გარეულ ტახებზე მიუთითა, რომლებიც მის მხლებლებს მოჰქონდათ.

ყველანი დაიძრნენ. ამირანაშვილის ფართო ეზოში რომ შევიდნენ, ერთ მხარეს სახელდახელოდ ცხენების დასაბმელი გააკეთეს: მიწაში ორკაპიანი ბოძები ჩაარჭეს, მასზე დიდი ხარიხა გადეს და თავები წნელებით გაუმაგრეს. ცხენებს პირიდან ლაგმები წამოაძრეს და ალვირებით მიაბეს. ჭაბუკებმა იქვე ორი თივის ზვინი დაშალეს და ცხენებს დაუყარეს.

— აბა, ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ, მომეხმარეთ, ჩვენს საყვარელ ერეკლეს ყველაფერი დროულად მივართვათ და დიდხანს არ დავაყოვნოთ, — შესძახა ამირანაშვილმა ახალგაზრდებს, როცა მათთან მარტო დარჩა. — მე ღორს გავასუფთავებ, ჩემო პეტრე, შენ ის მოზვერი წამოაქციე. ზურა, შენ ქათმები დაკალი. ქალებს წავეშველოთ, დანარჩენი კი თვითონ იციან. დედაკაცო! — გასძახა მოშორებით მდგარ მეუღლეს: — ხომ ხედავ, რა ბედნიერი დღე გაგვითენდა! მზადა ხარ თუ არა სტუმრის დასახვედრად.

— მაშა ქა! ბედზე პური თონეში მქონდა ჩაკრული. ნაზუქებს პელო მიცხობს. მა, რას ვიზამ, მეფესთან ხომ არ შევარცხვენ? — უპასუხა მეუღლემ და თავშალი შეისწორა.

თავი მოიყარეს მეზობლებმა, ყველა საქმეში იყო გართული, ჭარასავით ტრიალებდნენ, ზოგი წყლის მოსატანად გარბოდა, ზოგი ქათმებს ასუფთავებდა, ზოგი მწვანილს და ზოგიც რას, ვინ მოსთვლის!

მეფე კაკლის ხის ქვეშ სკამზე მოთავსდა. მის ახლოს, აქეთ-იქით მხლებლები დასხდნენ. ახალგაზრდებიდან ზოგი მოლზე დაჯდა და ზოგიც ფეხზე იდგა.

საქმეში გართულმა ამირანაშვილმა თავის ქალიშვილს დაუძახა:

— გოგო ლიზა! მეფე ბატონს და მის მხლებლებს ჭადრაკი და ნარდი მოართვი! სტუმრებმა არ მოიწყინონ, სანამ სუფრას გავშლიდეთ!

სულ მალე ყველა თამაშობამ გაიტაცა.

მასპინძელმა სუფრა დიდი კაკლის ხის ჩრდილში, მწვანეზე გააშლევინა. ქალიშვილები სუფრასთან ტრიალებდნენ, კოხტად აწყობდნენ ზედ ქორფა მწვანილს, შოთ პურებს, ნაზუქებს, ახალ თევზს, შემწვარსა თუ მოხარშულს. ნიკასა და მის მეზობლებს, რაც კი სანუკვარი რამ გააჩნდათ, ყველაფერი მოიტანეს.

ლიზამ მამასთან მიირბინა და დაბალი, მღელვარე ხმით უთხრა:

— მამი, სუფრა გავშალეთ, ყველაფერი მზად არი, გარდა ღვინისა. ქვევრს პირს ვინ მოხდის, ვინ ამოიღებს?

— ახლავე, შვილო! — უპასუხა მამამ, თავისი საქმე იქვე მდგომ ჭაბუკს მიანდო, თვითონ მეფისკენ გაეშურა და მორიდებით მოახსენა:

— ჩვენო საყვარელო მეფევ! ასეთი ბედნიერი დღის აღსანიშნავად, გთხოვთ ქვევრს თქვენი ხელით მოხადოთ თავი და პირველი ღვინით სავსე ხელადაც თქვენვე ამოიღოთ.

ერეკლემ უპასუხა:

— მაგაზე როგორ გაწყენინებ, ჩემო ნიკავ!

მეფემ ნარდის თამაშს თავი მიანება, წამოდგა და მასპინძელს გაჰყვა. მარანში რომ შევიდნენ, მეფეს ნიკამ თოხი მიართვა. სახეგაბრწყინებულმა ერეკლემ ჩამოართვა და ქვევრს ჯერ ფრთხილად მიწა შემოაცალა, შემდეგ დაიჩოქა, თითებით მიწის ნარჩენები ნაპირებს მოაშორა, მოწმინდა და ქვევრს სარქველი ახადა. შუშხუნა ღვინომ მეფეს სასიამოვნო სურნელი შეაფრქვია.

— მადლიანი ღვინო მოგიყვანია, დაგელოცოს მარჯვენა! — თქვა მეფემ და ამირანაშვილს შეხედა.

მეფის შექებამ მასპინძელს სიხარულის ფრთები შეასხა.

ერეკლეს მაშინვე ხელადა მიაწოდეს, მან კურთხეული მკლავით ჭურჭელი ქვევრში ჩაუშვა და აავსო.

პირსავსე ხელადა თვითონ მეფემ წაიღო და სუფრის თავში დადგა. ახალგაზრდებმა ხელადები, დოქები, თუნგები შეავსეს და სუფრასთან მიიტანეს.

სტუმრები, ღირსებისდა მიხედვით, სუფრას შემოუსხდნენ.

პირველი სადღეგრძელო სამშობლოს მიუძღვნეს. მეორედ — ერეკლეს სადღეგრძელო დალიეს. ამ ორი თავისუფალი სადღეგრძელოს შემდეგ თამადობა მეფეს მიულოცეს და ისიც მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

თვალებცქრიალა ქალიშვილები, აწითლებული ლოყებით, სუფრის გარშემო ფუსფუსებდნენ და სტუმრებს ცვრიან მწვადებს აწოდებდნენ.

დროსტარება გვიანობამდე გაგრძელდა. ბოლოს ნასიამოვნები მეფე წამოდგა, ამირანაშვილს მხარზე ხელი დაადო და მხიარულად უთხრა:

— მართლაც რომ კარგი დრო გაგვატარებინე. შენს პატივისცემას არ დავივიწყებ. სამაგიეროდ, რასაც მთხოვ, შეგისრულებ!

— ამაზე მეტი რაღა ვინატრო, დიდო მეფევ, ჩემს ოჯახში გხედავ! — უპასუხა ამირანაშვილმა.

— არა, არა, თუ რაიმე გულითა გსურს, ნუ მომერიდები, მითხარი და შენს სურვილს აგისრულებ! — მტკიცედ გაუმეორა მეფემ.

— ჩემთვის ეს ბედნიერებაც საკმარისია, დიდო მეფევ!

მაშინ ერთმა მოხუცმა მეზობელმა ერეკლეს მიმართა:

— ჩვენო მწყალობელო, ნიკა პატიოსანი და მართალი კაცია. ნაცვლობა უბოძე. სოფელს მაგისთანად ვერავინ მოუვლის.

— აგრე იყოს, — დაიძახა ერეკლემ და ნიკას მიუბრუნდა — ყოჩაღი ხარ და მჯერა, მაგ მოვალეობასაც კეთილსინდისიერად შეასრულებ!

ამირანაშვილი ჯერ ხელზე ემთხვია, შემდეგ დაიჩოქა, მეფის სამოსელის კალთა შუბლთან მიიტანა და მის ბოლოს ემბორა.

მეფე და მისი ამალა მასპინძლებს გულთბილად დაემშვიდობნენ.

* * *

მეფე ერეკლემ მეორე დღეს ამირანაშვილს ნაცვალთბოძების ფურცელი გამოუგზავნა და მას თეთრიც მოაყოლა.

ამირანაშვილმა ფული თანასოფლელებს გაუნაწილა.

ამ ღირსშესანიშნავი ამბის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. სოფელმა ამირანაშვილები ნაცვლიშვილებად მონათლა. ხუთსაპალნიანი ქვევრი შვილიდან შვილზე გადადიოდა. ბოლოს ნიკა ამირანაშვილის შვილიშვილის შვილმა, იმავე სოფელ ტოლნიანის მცხოვრებ ალექსანდრე ლეონიძეს ის ქვევრი ქურანა ცხენში გაუცვალა (ალექსანდრე ლეონიძე მამაჩემი იყო).

მამაჩემმა ის ქვევრი თავის მარანში გადაიტანა.

იმ ქვევრმა ჩვენს დრომდე მოაწია და ტოლნიანელი კოლმეურნეები მას ახლაც ერეკლეს ქვევრს ეძახიან.

ლუიზა ლეონიძე

# პაემანი სიკვდილთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერჰარდ ჰარკენჭალი

დორა ჰოფაკერი ციემსის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს. მესაფლავეები თელების ჩრდილს შეჰფარებოდნენ. ჰაერი მზეს გაეთბო, სასაფლაოს გადაღმა გადაჭიმულ მინდვრებში ახლად გადახნულ ბელტებს ორთქლი ასდიოდა.

სამგლოვიარო ცერემონიალის შემდეგ კაპელის შესასვლელი გახსნეს. მალე მგლოვიარენი ბინდ-ბუნდში დარხეული ჰანგების ბგერებში შთაინთქნენ. ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი და უმრავლესობა იძულებული გახდა გარეთ, ხრეშით დაფარულ გზაზე გაჩერებულიყო. ისინი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ყველას სახე როდი გამოხატავდა ნამდვილ თანაგრძნობას. ნათლად ჩანდა, რომ ზოგიერთი სეირის საყურებლად მოსულიყო. დორა ჰოფაკერი მოწამესავით კი არ მოკვდა, არამედ, როგორც ზოგიერთი მოხუცი თავისთვის ფიქრობდა, ღმერთმა ცოდვებისათვის დასაჯა. ხალხი ჩურჩულებდა, მაგრამ, როცა შესასვლელში გამოჩნდა კუბო, ოთხმა კაცმა რომ გამოიტანა და მანქანაზე შედგა, ბუტბუტი შეწყდა.

პროცესია დინჯად დაიძრა. კუბოს პირველი მარტინ ჰოფაკერი მიჰყვებოდა, მას მღვდელი და ბებერი ვიტნაკი მისდევდნენ. დედაბერი ნამდვილი ჭირისუფალივით მიდიოდა მარტინის გვერდით და მისი გამომეტყველება მართლაც გაფიქრებინებდათ, ვილაც ახლობელსა მარხავსო. შავი კაბა ჩაეცვა და მხრებზე ნაცრისფერი წამოსასხამი მოეხვია. გამხმარი თითებით, ცხვირსახოცსა ჭმუჭნიდა.

ზარები ჩამორეკეს.

„სამგლოვიარო ზარები! — გაუელვა თავში ბებერ ვიტნაკს — როდისღა მოძებნიან მკვლელს?“ ჰოფაკერისაგან გაიგო, რომ პოლიციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგროვებული მასალები ზატლერის წინააღმდეგ პროცესის მოსაწყობად. გაოცებულმა ბებერმა სცადა აეხსნა მარტინისათვის, რომ ზატლერის კავშირი ამ საქმესთან ისედაც ნათელია და რაღა საჭიროა ამდენი ცერემონიალიო. ზარის ხმა ისე მოისმოდა, თითქოს ჰოფაკერსა სცემდნენ ნუგეშს.

— ზატლერს ამ სასაფლაოზე არ დამარხავენ. სადმე სხვაგან ჩაფლავენ მიწაში — დაუმატა დედაბერმა. ჰოფაკერმა ზურგი შეაქცია და პასუხი არ მისცა.

დედაბერმა შიშით გახედა გაქვავებული სახით მიმავალ ჰოფაკერს. ის თითქოს დამშვიდებული იყო.

სამგლოვიარო პროცესიის ბოლო ისევ კაპელასთან იყო, როცა წინ მიმავლებმა უკვე საფლავს მიაღწიეს. სასაფლაო პატარა იყო. გზა კი ისე ვიწრო, რომ მხოლოდ ორ-ორ ადამიანს შეეძლო ერთად გავლა.

აქ იყო დორას უკანასკნელი სავანე, სადაც იგი მეტისმეტად ნაადრევად გადასახლდა. თოკები დაიჭიმა, კუბო საფლავში ჩაუშვეს. მღვდელი მიწაყრილზე შედგა და მუნჯურად ლოცულობდა. მამაკაცებმა თავები მოიშიშვლეს. სიჩუმეში ხანდახან მოხუცების ხრინწიანი წამოძახილი გაისმოდა.

მას შემდეგ, რაც მღვდელმა მკვდრის სული ღმერთს მიაბარა, კუბოზე ხმაურით დაეცა მიწის პირველი ბელტები. წინ წამდგარ ჰოფაკერს პირის კუთხეები აუთრთოლდა, დაბარბაცდა, რხევა დაიწყო, შრინერი მხრებში ეცა და შეაკავა.

— რად უნდა მომხდარიყო ასე? — ჩუმად ჩურჩულებდა ჰოფაკერი. მათ, ვინც ახლოს იდგა, კარგად გაიგეს მისი ნათქვამი. ბევრნი მზად იყვნენ ეთქვათ, რომ მთელი სოფელი მხარში ამოუდგებოდა, რომ მისი ტკივილი მათი ტკივილიც იყო, რომ კვლავაც მასთან ერთად სურდათ ყოფილიყვნენ ჭირშიც და ლხინშიც.

თავის ფიქრებში ჩაძირული ჰოფაკერი ერთ პატარა შემაღლებაზე იდგა, თვალები დაეხუჭა და მძიმედ სუნთქავდა. ბოლოს თავი ასწია და როცა ერთი მუჭა მიწა საფლავს მიაყარა, სივრცეს გახედა. ვერ უყურებდა კუბოს, რომელმაც სამუდამოდ მოსტაცა ამქვეყნად ყველაზე უფრო უსაყვარლესი არსება; ბრინკმანმა დანარჩენებს თავი დაუქნია, — უნდა ეჩქარათ, რათა მიცვალებულისათვის საბოლოო პატივი ეცათ და მორჩენილიყვნენ: ისინი ერთი-მეორის მიყოლებით მიდიოდნენ საფლავთან, საზეიმო სიმშვიდის გარეშე და მკვდარზე იმდენს არა ფიქრობდნენ, რამდენსაც მის ქმარზე.

ასე იყო მანამ, ვიდრე მოულოდნელი რამ არ მოხდა და ყველას სისხლი არ გაუყინა: საფლავთან უცებ ზატლერი გაჩნდა. არავინ იცოდა, საიდან მოვიდა იგი. ზატლერი — მკვლელი, ყველას ციხეში რომ ეგონა გამოკეტილი, ამდენ ხალხში წინ გამოვიდა და ისინიც ისე იყვნენ თავზარდაცემული, რომ ღონე არ შესწევდათ მისთვის გზა გადაეღობათ. მარტო მათი მზერითაც კი უნდა მოსდებოდა ზატლერს ცეცხლი. მას კი სახის ერთი კუნთის შერხევითაც არავისთვის უგრძნობებია, თუ რა ხდებოდა მის გულში. მანაც აიღო ერთი მუჭა მიწა, და თითებიდან ნელ-ნელა დააბნია, ერთხანს გახევებული იდგა. მერე გაბრუნდა და წავიდა.

ჰოფაკერი მეხდაცემულივით გაშეშდა. ტუჩები გაუთეთრდა, შუბლზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა, მუხლები და ყბები უკანკალებდა.

ორი ნაბიჯითაც არ იყვნენ ისინი ერთიმეორისაგან დაცილებული. ზატლერმა წამით მოიხედა, მაგრამ მისი მზერა არაფრისმთქმელი არ იყო, ჰოფაკერის თვალები კი სიძულვილს აფრქვევდნენ. ხალხი ერთად დაიძრა. ისინი ღობესავით შემოევლნენ ორივეს. მოელოდნენ, რომ რაღაცა მოხდებოდა, ნაპერწკალი ავარდებოდა, ჰოფაკერი იმ კაცს ეცემოდა, ვინც მის მეუღლეს ჯერ ნამუსი ახადა და მერე დაახრჩო. მაგრამ ნერვების ამშლელ დაძაბულობას ბოლო არ უჩანდა.

მღვდელმა, ვითარება რომ ეუცხოვა, მოულოდნელად ჩაახველა და ამით იქ მყოფნი თითქოს გამოაფხიზლა. ისინი ერთმანეთს უბიძგებდნენ და ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინათ, რომ ის, რასაც ახლა უყურებდნენ, სინამდვილე იყო.

თითოეულ მათგანს ყველაფერი ეს მოჩვენებად მიაჩნდა და თავის გვერდით მყოფისაგანაც ამის დასტურს მოელოდა.

ზატლერი უკვე კარგა ხანია გაქრა, მშვიდად წავიდა. ახლა კი თითქოს ჩანჩქერმა გადმოხეთქაო, ადამიანები ჰოფაკერისაკენ დაიძრნენ, ხელს ართმევდნენ, ანუგეშებდნენ. ჰოფაკერს თითქმის არაფერი ესმოდა, ფიქრით ისევ სადღაც შორს იმყოფებოდა და ყველასათვის მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა მზად: რაღაც უცნაური, გაუგებარი ღიმილი.

წირვა დამთავრებულია, მკვდარი — მივიწყებული.

ხალხი აქეთ-იქით დაიფანტა. ჰოფაკერთან მხოლოდ შრინერი, ბრინკმანი და ბებერი ვიტნაკი დარჩნენ. მღვდელიც მალე წავიდა.

— წამოდი შინ, მარტინ, — მხარზე ხელი დაადო და თითქოს ჩურჩულით უთხრა შრინერმა. მეტი მის ტუჩებს არაფერი წამოსცდენია.

ჰოფაკერის სახლს მიაღწიეს და ეზოში შევიდნენ. მატუშეკი და ჰენზელი სახლის კარებში იდგნენ, ხოლო როცა ბებერმა ვიტნაკმა ქუჩის კარი მიხურა. იოახიმიც იქვე დაინახა.

გამოძიების უფროსი მატუშეკი პირდაპირ მათკენ წამოვიდა, ჰოფაკერის წინ გაჩერდა და უთხრა.

— უნდა დაგაპატიმროთ. თქვენი მეუღლის მკვლელობაში ბრალი პირადად თქვენ გედებათ.

* * *

პირველი დაკითხვა ადგილზევე ჩატარდა. იოახიმი ოქმს პორტატულ მანქანაზე ბეჭდავდა. ჰენზელი კარის გვერდით იჯდა სკამზე. მან გუშინვე იცოდა, რომ ბრალი ჰოფაკერს ედებოდა. სახლის გაჩხრეკამ უკვე აღარავითარი ეჭვი აღარ დატოვა. გუშინ ჰენზელს დავალებული ჰქონდა ჰოფაკერი საოლქო ქალაქში დაეყოვნებინა. ჰენზელი ყველაფერში ჯერ მაინც ვერ გარკვეულიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჰოფაკერს უმწიკვლო სახელი ჰქონდა და მისგან ასეთი საქმის ჩადენას არ მოელოდნენ. გარდა ამისა, მკვლელობის დროს იგი ერფურტში იყო. ეს რუსტოვს, ჰაგენოვსა და სხვებს შეეძლოთ დაემოწმებინათ.

— სად იყავით თქვენ ოცდაშვიდში, საღამოს ხუთი საათისთვის? — მოესმა მარტინს მატუშეკის შეკითხვა.

გამოძიების უფროსი ჰოფაკერის სახეს აკვირდებოდა. მარტინის თვალებში შიში ჩამდგარიყო, თუმცა ცდილობდა უკანონოდ ეჭვმიტანილად მოეჩვენებინა თავი.

— ეგ ხომ უკვე იცით, ბატონო უფროსო, მე შლუმბახში ვიყავი.

— არა, თქვენ იქ არ ყოფილხართ, ეს ტელეგრაფით დაგვიდასტურა თქვენმა მეგობარმა ლორენგელმა.

ჰოფაკერი გაჩუმდა, იატაკს დააცქერდა.

— სად დაკარგეთ საფული?

— არ ვიცი.

— მანქანაში, ოცდაშვიდ რიცხვში, საღამოს ექვსი საათისათვის, შონეფელდიდან ერფურტში რომ მიქროდით. თოთხმეტი დღით ადრე ჩაეწერეთ თვითმფრინავზე ერფურტი-შონეფელდი-ერფურტი, ერფურტიდან პირველ საათზე გაფრინდით და ორ საათზე შონეფელდში დაეშვით.

— ამას ვაღიარებ... მე მინდოდა... მე მეგონა ჩემი ცოლი კვლავ ზატლერს შეხვდებოდა და მინდოდა გამეოცებინა.

— მერე?

ჰოფაკერმა ხელები ასწია და მერე მოწყვეტით დაუშვა მუხლებზე.

დასასრული შემდეგ ნომერში.

გერმანულიდან თარგმნა **ვენერა შინდაგორიძემ.**

* იხ. „დროშა“, № 5, 6, 7, 8, 9.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# მოზაიკა



## მაჟინოს ხაზი

რაოდენ პოპულარული იყო ეს თავდაცვითი ნაგებობა მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, რამდენი რამ დაწერილა მასზე!

მაჟინოს ხაზის სიმაგრეები დღემდე კარგად არის შენახული. მიწისქვეშა ნაგებობებში თავისუფლად შეიძლება განლაგდეს რამდენიმე ათასი მებრძოლი და ექვსი თვის მანძილზე შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს, გარედან ყოველგვარი დახმარების მიღების გარეშე. 120 მეტრიანი ჭები ადამიანებს საჭირო რაოდენობით მოამარაგებენ წყლით. ელექტროსადგური ნახევარი წლის მუშაობისათვის არის გათვალისწინებული. მაჟინოს ხაზის მიწისქვეშა რკინიგზების საერთო სიგრძე 60 კილომეტრს აღწევს.

ამას წინათ საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა მაჟინოს ცნობილი ხაზი აუქციონით გაეყიდა. დღემდე ვერ მონახეს მყიდველი, რომელიც მთლიანად შეისყიდიდა ამ ნაგებობათა მთელ კომპლექსს. მაჟინოს ხაზის რამდენიმე მიწისქვეშა გალერეა მეცის რაიონში ფერმერებმა იყიდეს და იქ ქამა-სოკოს ამრავლებენ.

მიწისზედა ნაგებობათა ნაწილი მსხვილმა კაპიტალისტებმა შეიძინეს. სამხედროებს გადაწყვეტილი აქვთ, თავიანთი კონტროლის ქვეშ მხოლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რამდენიმე კვანძი შეინარჩუნონ.



## ვინ წერდა ყველაზე სწრაფად?

უკანასკნელ ხანებამდე ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოში ყველაზე ნაყოფიერი ავტორი იყო ლოპე დე ვეგა, რომელმაც 2.500 პიესა დაწერა.

სადავო არ არის, რომ ლოპე დე ვეგა მართლაც იყო ნაყოფიერი და, ამავე დროს, მეტად ორიგინალური მწერალი. ასე მაგალითად, 1666 წელს მადრიდში გამოიცა მისი რამდენიმე ნაწარმოები, რომლებშიც არ იყო ზოგიერთი ასო: პირველში არ იყო ასო — ა, მეორეში — ე, მესამეში — ო.

დიდად ნაყოფიერ მწერალთა შორის უნდა დავასახელოთ კოსტელა ორიგენესი-მამა, რომელმაც 6 ათასამდე ნაწარმოები დაწერა. შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ ჩინელი ქალი კიე-იუ, რომელმაც დაწერა „ოცნება აყვავებულ ბროწეულებში"; ეს თხზულება 360 ტომს შეიცავს; თუ გამოიცემა პოლონელი მწერლის კრაშევსკის თხზულებათა სრული კრებული, იგი 880 ტომს მიაღწევს!

ცნობილია, რომ ლოპე დე ვეგა თავის კომედიებს ხშირად ერთ დღეში წერდა. ასევე საოცარია ავიცენას ამბავი, მან თავისი ვრცელი შრომა „მეტაფიზიკა" — სულ რაღაც ოთხ დღეში დაწერა.



## ნისკარტიანი ლაურეატი

ხუთი წლის თუთიყუშის ჟაკოტის დებიუტი 1965 წლის სექტემბერში შედგა, როცა მან მონაწილეობა მიიღო რადიოგადაცემაში — „მოლაპარაკე ფრინველები" და ბრწყინვალედ დაუსტვინა მარში კინოფილმიდან „ხიდი მდინარე კვაიზე". ჟაკოტიმ მომდევნო წლებშიც ისახელა თავი და მოლაპარაკე ჩიტების მსოფლიო ჩემპიონატებზე ზედიზედ მოიპოვა პირველი საპრიზო ადგილები.

— ჟაკოტი სულ პაწაწინა იყო, როცა აღსაზრდელად ავიყვანე, — მოგვითხრობს ფრინველთა დაცვის საფრანგეთის ლიგის თავმჯდომარე რაულ ურსი, — მე მას შვილივით ვექცეოდი, დღეში მხოლოდ ერთხელ ვამეცადინებდი და ცუღლუტობისათვის მკაცრად არასოდეს არ დამისჯია. ჟაკოტის თავისუფლად შეუძლია ათამდე თვლა, იცის, რომ ორს მივუმატოთ ორი — ოთხია. შეუძლია მიპასუხოს და გამოაჯავროს მტრედებს, კანარის ჩიტებს.

— ჟაკოტი, აბა „მარსელიოზა"! — უბრძანებს რაულ ურსი თუთიყუშს.

თუთიყუში ჯარისკაცივით ემორჩილება პატრონს, მაგრამ ჩქარობს, შეცდომით ყალბ ნოტს იღებს.

— გრცხვენოდეს, განა ასე უნდა?

— ბოდიში!

— ბოდიშის მოხდას ის სჯობს, დაფიქრდე და წესიერად შეასრულო სიმღერა.

ჟაკოტი იბღვერა, თვალებს ლულავს და თავიდან ბოლომდე ამჯერად ზუსტად ასრულებს სიმღერას.

## რამდენი კაცი თამაშობს მოედანზე

მიმდინარეობდა ფეხბურთის მატჩი შოტლანდიის პირველობაზე. პირველი ტაიმი ის იყო თავდებოდა, როცა სტადიონზე ქუფრი ბურუსი ჩამოწვა და მინდორზე მოთამაშეების გარჩევა შეუძლებელი გახდა. ფეხბურთის იქაური ფედერაციის მესვეურმა გადაწყვიტა უამინდობის გამო თამაში შეეჩერებინა და მსაჯისაკენ გაემართა, ენით აუწერელი იყო მისი გაოცება, როცა ნისლის საბურველში მის წინ უეცრად სათადარიგო მოთამაშის ნომრიანმა ფიგურამ გაიელვა.

ფედერაციის ხელმძღვანელი უკან გამობრუნდა და სათადარიგო მოთამაშეების სკამებს ეცა — ორივე გუნდის სათადარიგო ფეხბურთელების სკამები თავისუფალი იყო. ნათელი გახდა, რომ მოხერხებულმა მწვრთნელებმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სწრაფად შეაფასეს შექმნილი ვითარება და, ნისლის საფარქვეშ, მოგების მისაღწევად, შეუმჩნევლად გამოიყვანეს მოედანზე თავიანთი დამატებითი ძალები.



## ვახშამი უფასოდ

ჟან ვერსტატენი და პოლ არტორგი წარსულში ცნობილი ბელგიელი მოჭიდავეები იყვნენ. როცა ჭიდაობას თავი დაანებეს, შეამხანაგდნენ და პატარა რესტორანი გახსნეს.

ყოფილი მოჭიდავეების რესტორანში საღამო ხანს აუარებელი ხალხი იყრის თავს. საქმე ისაა. რომ ყოველ მომსვლელს შეუძლია აქ თავისი ძალა გამოსცადოს, რესტორნის კუთხეში დაგებულ საჭიდაო ხალიჩაზე გავიდეს და, თავისი არჩევანის მიხედვით, რესტორნის ერთ-ერთ მეპატრონეს დაეჭიდოს.

ორთაბრძოლაში გამარჯვებულ სტუმარს უფასო ვახშმით უმასპინძლდებიან; რა თქმა უნდა, არც თუ ისე ადვილი საქმეა ბეჭებზე დასცე ძველი მოჭიდავე, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ჟან ვერსტატენის და პოლ არტორგის დამარცხებას ზოგიერთები მაინც ახერხებენ.

უფასო ვახშმის მოპოვების იმედით ხალხი ბუზებივით ესევა სპორტსმენების რესტორანს.

— ზრდილობა მოითხოვს, სტუმრებს წესიერად მოვექცეთ, — ამბობენ რესტორნის პატრონები, — საჭიროა ზოგჯერ ჯენტლმენურად დავუთმოთ მათ, შეგნებულად დავდოთ ბეჭები ხალიჩაზე, რომ ხალხი მივიზიდოთ და სალარო ცარიელი არ დარჩეს.

გარეკანის პირველ გვერდზე: მთამსვლელები. ფოტო ოთარ თურქიასი.. მეოთხე გვერდზე: საჰაერო გზები. ფოტო თარხან არჩვაძისა.


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66,პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/IX-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IX-69 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 43.700. შეკვ. № 2664. უე 10457.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.



ფოტოეტიუდი ნოდარ მანჯგალაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა